საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი

მედიის, ინფორმაციის და სოციალური
კვლევების ცენტრი

2023

პროექტის ხელმძღვანელი: ეკატერინე ბასილაია

კვლევის ავტორები: ეკატერინე ბასილაია
მამუკა ანდღულაძე
ანა ქეშელაშვილი
ელენე ერგეშიძე
ხატია ყურაშვილი

კონსულტანტი: დავით სიჭინავა

“მედიის, ინფორმაციის და სოციალური კველვების ცენტრი” მადლობას უხდის თითოეულ ექსპერტს კვლევაში მონაწილეობისთვის, ასევე პროფესორ ლია წულაძეს კვლევის დოკუმენტის შეფასებისთვის.

პროექტის რუკა და დოკუმენტის ელ.ვერსია იხილეთ: http://www.cmis.ge

დოკუმენტი მომზადდა „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის” მიერ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი“ და ის შესაძლოა არ ასახავდეს დონორის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

მედიის, ინფორმაციის და
სოციალური კვლევების ცენტრი

სარჩევი

შეჯამება 4

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 8

რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსის მეთოდოლოგია 11

კონცეპტუალური ჩარჩო 11

ანალიტიკური ჩარჩო 13

დელფის მეთოდი 14

ინდექსის გამოთვლა 15

შედეგები 16

თბილისი 16

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 19

მცხეთა-მთიანეთი 20

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 22

ქვემო ქართლი 24

სამეგრელო-ზემო სვანეთი 27

შიდა ქართლი 29

იმერეთი 31

სამცხე-ჯავახეთი 34

გურია 37

კახეთი 39

რეკომენდაციები 41

შეჯამება

2023 წლის საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი დაინტერესებულ პირებს და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გაეცნონ იმ ფაქტორებს, რომლებიც ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით, საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობას უშლის ხელს.

რეგიონებში დეზინფორმაციისადმი მედეგობის შესაფასებლად რელევანტურ ოთხ კატეგორიას (ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა, პოლიტიკოსების და პარტიების მედეგობა, საინფორმაციო გარემოს მედეგობა და საზოგადოების მედეგობა) და მათში შემავალ ინდიკატორებს. ინდექსი საქართველოს 11 რეგიონს აფასებს 0-100 სკალაზე, სადაც 0 არის დეზინფორმაციისადმი ყველაზე მოწყვლადი, ხოლო 100 - ყველაზე მედეგი რეგიონი. საქართველოს თერთმეტივე რეგიონი 42-54 ქულების ფარგლებში მოექცა, რაც იმას ნიშნავს, რომ დეზინფორმაციისადმი მედეგობის ხარისხი ყველა რეგიონში ერთნაირად პრობლემატურია და ახლოსაა საშუალო მაჩვენებელთან. ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ რეგიონების მიხედვით ექსპერტთა შეხედულებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება და ისინი ძირითადად მსგავს გამოწვევებზე მიუთითებენ. ამასთან, იკვეთება ცალკეული კონტექსტური სხვაობებიც.

ძირითადი მიგნებები

ინდექსი

საქართველოს 11 რეგიონის შეფასება სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 42-45, 46-50 და 51-54. პირველ ნაწილში მოექცა თბილისის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და აჭარის რეგიონების შეფასებები; მეორე ნაწილში ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, იმერეთისა და ქვემო ქართლის შეფასებები; ხოლო მესამე ნაწილში სამცხე-ჯავახეთის, გურიის და კახეთის რეგიონის შეფასებები. ყველაზე დაბალი შეფასება თბილისის რეგიონმა მიიღო, ხოლო ყველაზე მაღალი - კახეთის რეგიონმა.

რეგიონი	ადგილობრივი ხელისუფლება%	პარტიები და პოლიტიკოსები%	საინფორმაციო გარემო%	საზოგადოება%	რეგიონის ქულა
თბილისი	28	34	52	63	42
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29	58	43	49	42
მცხეთა-მთიანეთი	33	66	31	53	43
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	29	52	48	54	43
ქვემო ქართლი	29	61	47	53	45
სამეგრელო ზემო-სვანეთი	31	46	51	62	45
შიდა ქართლი	36	53	52	53	47
იმერეთი	33	56	55	64	49
სამცხე-ჯავახეთი	40	60	58	55	52
გურია	39	59	55	66	52
კახეთი	38	74	55	60	54

ექსპერტებმა რეგიონები შეაფასეს შემდეგი ოთხი კატეგორიის მიხედვით: ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა, პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა, საინფორმაციო გარემოს მედეგობა და საზოგადოების მედეგობა. ყველა რეგიონში, ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობამ სხვა კატეგორიებთან შედარებით ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო.

- ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა ყველაზე დაბალი ქულით თბილისის (28%), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (29%), ქვემო ქართლის (29%) და აჭარის (29%) რეგიონებში შეფასდა, ხოლო ყველაზე მაღალი ქულით - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (40%).

- პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობამ ყველაზე დაბალი შეფასება თბილისის (34%), ხოლო ყველაზე მაღალი კახეთის (74%) რეგიონში მიიღო.

- საინფორმაციო გარემოს მედეგობა ყველაზე დაბალი ქულით შეფასდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (31%), შემდეგ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (43%), ყველაზე მაღალი ქულით კი სამცხე-ჯავახეთის (58%) რეგიონში.

- საზოგადოების მედეგობა ყველაზე დაბალი ქულით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (39%) შეფასდა, შემდეგ მცხეთა-მთიანეთში (53%), ქვემო ქართლსა (53%) და შიდა ქართლში (53%), ხოლო ყველაზე მაღალი ქულით გურიაში (66%), ასევე იმერეთში (64%), თბილისსა (63%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (62%).

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა ყველა რეგიონიდან ერთხმად აღნიშნეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებ-ლობის დაბალი ხარისხი, რაც მიუთითებს ადგილობრივ თვითმმართველობაზე ცენტრალური ხელისუფლების ძლიერ გავლენაზე. ეს კი ხელს უშლის რეგიონულ მმართველობას ადგილობრივ გამოწვევებს თავისი მანდატის შესაბამისად უპასუხოს. ამ მხრივ, სხვა რეგიონებთან შედარებით განსაკუთრებულად კრიტიკულად შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები.

ექსპერტები ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზეც საუბრობენ. ეს, მათი შეფასებით, განაპირობებს როგორც საზოგადოების, ასევე არასამთავრობო სექტორის და მედიის ინფორმირებულობის დაბალ ხარისხს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მხრიდან ე.წ. „მონიტორინგის“ (ვოჩდოგი) ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციების და დამოუკიდებელი მედიასაშუალების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და მათთან მიმდინარე მოვლენებსა და საკითხებზე კომუნიკაციის ნაკლებობას. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტში, შესაძლოა, უკეთესი მდგომარეობა იყოს საკრებულოს ან მერიის შემთხვევაში, თუმცა, ეს უფრო გამონაკლისია და ზოგად ტენდენციად გამჭვირვალობის ნაკლებობა რჩება.

ერთი შემთხვევის გარდა, არცერთი რეგიონის ექსპერტს არ უხსენებია დეზინფორმაციის და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ თუ საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებები. უფრო მეტიც, რამდენიმე რეგიონის მუნიციპალიტეტიდან ექსპერტები ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლების მხრიდან საკუთარი სოციალური მედიის გვერდებზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული და დისკრედიტაციული შინაარსის შემცველი მასალების გაზიარების ფაქტებს აღნიშნავენ.

ექსპერტების შეფასებით, ხელისუფლების ინტეგრაციის პოლიტიკა თუ ქმედებები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) არ არის ეფექტური. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სათანადო სტრატეგიული ხედვა, როგორ გაუმკლავდეს გამოწვევებს.

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მედეგობის შეფასებისას ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური აქტიურობა დედაქალაქში რეგიონებთან შედარებით მაღალია. მათი თქმით, (ოპოზიციური) პარტიების უმრავლესობა რეგიონებში წინასაარჩევნო

პერიოდში აქტიურდება, რაც განაპირობებს მდარე პოლიტიკურ ცხოვრებას. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემებზე დისკუსიაც შეზღუდულია.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პარტიული პოლარიზაცია, რაც ცენტრალურ დონეზე განსაკუთრებულად მწვავედ იგრძნობა, ნაკლებად შესამჩნევია რეგიონებში, თუმცა, პოლარიზება რეგიონებსაც სწვდება და ადგილობრივი პოლიტიკოსების საქმიანობაზეც აისახება. ეს კი ხელს უშლის კონსტრუქციული დიალოგის და კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მაგალითად, იმერეთის საკრებულოს საქმიანობის შეფასებისას ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ოპოზიციური ფრაქციის მიერ დაყენებულ საკითხებს საკრებულო ხშირად არცკი განიხილავს.

თითქმის ყველა რეგიონის ექსპერტი საუბრობს მმართველი პარტიის ადგილობრივი პოლიტიკოსების მხრიდან მედიის და სამოქალაქო სექტორის მიმართ დისკრიმინაციულ განწყობებზე. ექსპერტების უმრავლესობის შეფასებით, ზოგადად, დეზინფორმაციის გავრცელებით მმართველი პარტია გამოირჩევა, თუმცა, ზოგიერთ რეგიონში ოპოზიციური პარტიების მხრიდან ოპონენტების საწინააღმდეგოდ მიმართული დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტებიც აღნიშნეს. ზოგიერთ რეგიონში ექსპერტებმა ისაუბრეს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მხრიდან კრემლის დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტებზე, თუმცა, ექსპერტების უმრავლესობა ამბობს, რომ ამას განსაკუთრებული გავლენა არ აქვს საზოგადოებრივ აზრზე.

საინფორმაციო გარემოს მედეგობა

საინფორმაციო გარემოს შეფასებისას თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება იკვეთება. თბილისი გამოირჩევა მედიაპოლარიზაციის მაღალი ხარისხით, გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული მაუწყებლების უდიდესი ნაწილი, რომელთაც გამოკვეთილი პოლიტიკური პრეფერენციები აქვთ, სწორედ თბილისში არიან თავმოყრილნი. ექსპერტების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სხვა რეგიონებშიც არიან პროსახელისუფლებო და პროოპოზიციური ორიენტაციის მედიასაშუალებები, პოლარიზაცია ნაკლებად იგრძნობა. ისინი აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური პრეფერენციების მიუხედავად, ადგილობრივი მედიასაშუალებების გაშუქება მეტ-ნაკლებად უფრო დაბალანსებულია, ვიდრე ცენტრალური მედიასაშუალებების. ზოგადად, ექსპერტები ჯანსაღი საინფორმაციო გარემოს შენარჩუნებისთვის ხაზს უსვამენ დამოუკიდებელი მედიასაშუალებების როლს. ამასთან, ექსპერტების უმრავლესობის შეფასებით, რეგიონებში მედიასაშუალებების მფლობელობა მნიშვნელოვნად გამჭვირვალეა და ცნობილია საზოგადოებისთვის.

შეფასებული 11 რეგიონიდან, მცხეთა-მთიანეთში არ არსებობს საინფორმაციო მედიასაშუალება და მოსახლეობის ნაწილი (დუშეთის მუნიციპალიტეტში) ერთი ადგილობრივი სპეციალიზებული ტელევიზიის საშუალებით ეცნობა ადგილობრივი თემისთვის საინტერესო ამბებს. ამასთან ერთად, ინფორმაციას რეგიონის მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთებიდანაც იღებს. მსგავსია მდგომარეობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც მოსახლეობისთვის ადგილობრივ ამბებზე ინფორმაციის ძირითადი წყარო, გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული მედიებისა, არის ერთი დამოუკიდებელი ონლაინ მედიასაშუალება.

სამცხე-ჯავახეთის მედიაგარემო, რომელსაც სხვა რეგიონებთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მაღალი შეფასება ჰქონდა, ექსპერტების თქმით, მრავალფეროვანი და დაბალანსებულია და ჟურნალისტები “არ ერიდებიან მწვავე საკითხების გაშუქებას...”. მსგავსი შეფასება გაკეთდა ქვემო ქართლის და გურიის ადგილობრივ მედიასაშუალებებთან დაკავშირებითაც.

ექსპერტები საუბრობენ დამოუკიდებელი მედიების გამოწვევებზე, რომელთა შორის ყველა რეგიონში ახსენეს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა და ფინანსური მდგრადობის საკითხი. ფინანსურმა არამდგრადობამ განაპირობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დამოუკიდებელი საინფორმაციო ინტერნეტპორტალის დახურვა 2023 წელს. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს უარყოფით გავლენას მოახდენს რეგიონის საინფორმაციო გარემოზე, პირველ რიგში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის ინფორმირების კუთხით. ზოგადად, ადგილობრივი ტელეარხების უმრავლესობას ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემების მომზადებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები ხშირად არ გააჩნია. კახეთის

რეგიონში დეზინფორმაციულ გამოწვევებთან გამკლავების ეფექტურ საშუალებად საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი.

ექსპერტებმა ყველა რეგიონიდან ისაუბრეს სამოქალაქო ორგანიზაციების წვლილზე რეგიონის მოსახლეობის განვითარების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა, მათი ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ ე.წ. „გონგო“, იგივე მთავრობის გავლენის ქვეშ მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციებიც მოქმედებენ, რომლებიც სახელისუფლებო პოლიტიკას ატარებენ. რამდენიმე რეგიონში აღინიშნა ფაქტჩეკერების წვლილი საინფორმაციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში.

ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, ვინაიდან არ არსებობს ყველა ადგილობრივი მედიის მონიტორინგის შესაძლებლობა, მისი შეფასებები ძირითადად პირად დაკვირვებებსა და პროფესიული წრეების განცხადებებს ეყრდნობა. ადგილობრივი მედიასაშუალებების შეფასების სიმწირე თითქმის ყველა რეგიონში გამოიკვეთა.

საზოგადოების მედეგობა

მოსახლეობის შეფასებისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება, ისევე როგორც ევროკავშირში ინტეგრაცია. ექსპერტების შეფასებით, ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუძლია კრიტიკულ დროს სწორი არჩევანის გაკეთება, დასტურდება 2023 წლის მარტის მოვლენებითაც (ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების წინააღმდეგ გამართული მასობრივი საპროტესტო აქციები). ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საზოგადოების მიერ პროევროპული არჩევანის გაკეთების სასარგებლოდ მოქმედებს ინტერნეტის გავრცელება, ახალგაზრდების მიერ ტექნოლოგიების ფლობა, მეტი გახსნილობა, მოსახლეობის ნაწილის დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების გამოცდილება.

ექსპერტები თითქმის ყველა რეგიონიდან საუბრობენ იმ გამოწვევებზეც, რომელთა წინაშეც დგას მოსახლეობა და რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანია საზოგადოების მედეგობის გასაძლიერებლად. ამ გამოწვევებს შორის არის მოსახლეობის მედიაწიგნიერების დაბალი დონე, რაც ექსპერტებმა ყველა რეგიონში აღნიშნეს. იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული არადომინანტური ეთნიკური ჯგუფები, სახელმწიფო ენის ცოდნა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რაც ხელს უშლის მოსახლეობას ნაწილს სრულყოფილად მიიღოს გადამოწმებული და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წლების განმავლობაში მედიის და არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიები ადგილობრივ მოსახლეობაზეც ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების თავდასხმის ობიექტი ცენტრალური მედიებია, როგორც წესი, ზოგადად მედია, როგორც ინსტიტუტი და მისი რეპუტაცია საზოგადოების თვალში დაზიანდა.

ოკუპირებული ცხინვალის მოსაზღვრე შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობაში კრემლის დეზინფორმაციის წარმატებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ექსპერტების თქმით, დაუცველობის განცდა, რომელიც რუსეთთან მიმართებაში აქვთ. ამის მიზეზად ექსპერტები სახელმწიფოს და ადგილობრივი ხელისუფლების მიდგომებს ასახელებენ, რაც მათი აზრით, სტრატეგიული ხედვის და მოსახლეობასთან კომუნიკაციის სიმწირეში გამოიხატება.

ექსპერტები ამბობენ, რომ ცალკეულ შემთხვაში, რუსეთის მიმართ დამოკიდებულების ფორმირებას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, შესაძლოა განაპირობებდეს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც.

შესავალი

დეზინფორმაცია უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის. დეზინფორმაცია გულისხმობს ცრუ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც შემუშავდა და გავრცელდა განზრახ, საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების მიზნით ან გარკვეული ფინანსური მოგების მისაღებად.[1] დეზინფორმაცია ძირს უთხრის დემოკრატიას ბევრი სხვადასხვა კუთხით; მას შეუძლია დაასუსტოს საზოგადოების ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესებისადმი, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე და საარჩევნო სისტემაზე, ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ეროვნულ უსაფრთხოებას და ადამიანის უფლებებს.[2]

ინტერნეტის და სოციალური მედიის ფართოდ გავრცელებასთან ერთად, ადამიანები ერთდროულად გახდნენ ინფორმაციის მწარმოებლები, გამავრცელებლები, მომხმარებლები და წყაროები. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფორმაციას სხვადასხვა თემაზე ინტერნეტის და სოციალური ქსელების საშუალებით ეცნობა[3]. შესაბამისად, დღევანდელ ინფორმაციით მოცულ სამყაროში, მოქალაქეებს სჭირდებათ აღჭურვილნი იყვნენ ისეთი ტექნიკური და კოგნიტური უნარებით, რომლებიც მათ დაეხმარება მრავალფეროვანი საინფორმაციო მასალის კრიტიკულ გაანალიზებაში და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

სხვადასხვა წყაროების თანახმად, სოციალურ მედიაში დეზინფორმაციის გავრცელების კუთხით რუსეთი ლიდერობს.[4] რუსეთის მთავრობის მიერ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიები მიზნად ისახავს გაურკვევლობის გამოწვევას საზოგადოებებში და ამგვარად რუსეთის მხარდაჭერის განვითარებას.[5] რუსეთის მთავრობის ასეთი ქმედებები საზიანოა ზოგადად დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით ახალი დემოკრატიებისთვის პოსტ-საბჭოთა რეგიონში, რომლებსაც რუსეთთან ისტორიული სოციო-ეკონომიკური კავშირები აქვთ. რუსეთის ჰიბრიდული ომის შედეგები საქართველოსთან ბოლო წლებში განსაკუთრებულად თვალსაჩინოა.[6][7] 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა და მასთან დაკავშირებულმა დეზინფორმაციულმა კამპანიებმა კიდევ უფრო სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა ქვეყანა. ამავე წელს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე უარის თქმამ გააღრმავა არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაცია, ბიძგი მისცა რა ახალი

---

1 Carme Colomina, Héctor Sánchez Margalef, & Richard Youngs The impact of disinformation on democratic processes and human rights in the world, European Parliament, 2021, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/653635/EXPO_STU(2021)653635_EN.pdf
Claire Wardle and Hossein Derakhshan, Information Disorder: Toward an interdisciplinary framework for research and policy making, Council of Europe report DGI(2017)09, 2017. https://edoc.coe.int/en/media/7495-information-disorder-toward-an-interdisciplinary-framework-for-research-and-policy-making.html

2 Umek, U. Council of Europe's response to disinformation. Council of Europe, 2021, https://www.osce.org/files/f/documents/2/3/487525.pdf

3 CRRC. კავკასიის ბარომეტრი 2021 საქართველო. https://caucasusbarometer.org/en/cb2021ge/INFSOU1/

4 Alexa Lardieri, Russia Still Largest Driver of Disinformation on Social Media, Facebook Report Finds. US.News, 2021, https://www.usnews.com/news/politics/articles/2021-05-26/russia-still-largest-driver-of-disinformation-on-social-media-facebook-report-finds?fbclid=IwAR0HjkPPmmi9VcieC2h_A9EZq5I9Yat0_q4YRW8L5wLfqrtHuj8Z2PfKFTY

5 Disinformation and Russia's war of aggression against Ukraine. Threats and governance responses, OECD, 2022, https://www.oecd.org/ukraine-hub/policy-responses/disinformation-and-russia-s-war-of-aggression-against-ukraine-37186bde/#figure-d1e539
Mapping Fake News and Disinformation in the Western Balkans and Identifying Ways to Effectively Counter Them. European Parliament, 2021, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/653621/EXPO_STU(2020)653621_EN.pdf

6 Natia Seskuria, Russia's "Hybrid Aggression" against Georgia: The Use of Local and External Tools. Center for Strategic & International Studies, 2021. https://www.csis.org/analysis/russias-hybrid-aggression-against-georgia-use-local-and-external-tools

7 Niklas Nilsson, , Between Russia's 'Hybrid' strategy and Western Ambiguity: Assessing Georgia's Vulnerabilities. The Journal of Slavic Military Studies, 34:1, 50-68, 2021, https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/13518046.2021.1923992

დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელებას ხელისუფლების მხრიდან.[8] ბოლო წლებში გენდერული ნიშნით და ლგბტქი იდენტობის თემებზე დეზინფორმაციული შინაარსის მასალები, როგორც ტრადიციულ, ასევე სოციალურ მედიაში, ხშირად უცხო ქვეყნის საინფორმაციო ჩარევებთან ერთად მმართველ პარტიას უკავშირდება. ასეთი ქმედებების სამიზნე ყველაზე ხშირად ჟურნალისტები, აქტივისტები და პოლიტიკური ოპონენტები ხდებიან.[9]

სახელმწიფოს მხრიდან დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმების შეფასებისას, ექსპერტები და მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პროცესი ეფექტურად არ მიმდინარეობს; მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში შექმნილია სამსახურები, რომლებიც დეზინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მუშაობენ, კვლავაც პრობლემად რჩება სახელმწიფოს მხრიდან არსებული გამოწვევის ანალიზი, უწყებათშორისი კოორდინაცია და კონკრეტული ქმედებების ეფექტიანობა.[10] აღსანიშნია ისიც, რომ საქართველოს მთავრობას 2020 წლის შემდეგ არ განუახლებია "ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ მთავრობის სტრატეგია", ასევე უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი.[11]

სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია[12] და არაეფექტურია. ქვეყანაში, მედიაწიგნიერების პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომუნიკაციების კომისიის ერთ-ერთი პლატფორმა, „მედიაკრიტიკა", რომელიც მიზნად ისახავს „მედიაპროდუქტების გაანალიზებას და შეფასებას მედიის ხარისხის ამაღლების მიზნით"[13], სხვადასხვა ექსპერტის, საერთაშორისო ორგანიზაციის თუ კვლევის მიხედვით განიხილება როგორც ხელისუფლებისადმი კრიტიკული მედიასაშუალებების წინააღმდეგ მიმართული ინსტრუმენტი.[14] დადებითად არის შეფასებული არასამთავრობო სექტორის მიერ საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები.[15]

საქართველოში სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები აჩვენებს მოსახლეობის ნაწილში ულტრა კონსერვატიული შეხედულებების არსებობას, რაც კრემლის პოლიტიკური დღის წესრიგის გავრცელებისთვის ხელსაყრელ ნიადაგს შეიძლება ქმნიდეს.[16] ასევე, ქართული მედიის ნაწილი გაჯერებულია ანდიტასავლური, ანტიამერიკული და პრორუსული რიტორიკით.[17] ცოტა რამ არის ცნობილი საზოგადოების მედიაწიგნიერების დონის შესახებ. ერთ-ერთი საერთაშორისო შეფასების თანახმად, საქართველო მედიაწიგნიერების

---

8 Natalia Sabanadze, The Geopolitics of EU Enlargement: The case of Georgia, Georgian Institute of Politics, 2022, https://gip.ge/publication-post/the-geopolitics-of-eu-enlargement-the-case-of-georgia/

9 თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე, ანტიგენდერული და ანტი ლგბტქი მობილიზება საქართველოში, მედიის განვითარების ფონდი, 2023, https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2023/02/GenderReport-GEO-web-1.pdf

10 სალომე ცეცხლაძე, დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში სახელმწიფოს მიდგომა და ბრძოლის გზები. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2023, https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://www.transparency.ge/sites/default/files/a42mm-18pgcover_3.pdf

11 გიორგი ბილანიშვილი, უსაფრთხოების მიმოხილვა. რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინაში და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2022, http://bitly.ws/DLbg

12 Ekaterine Basilaia, Nino Danelia, Mapping and Needs Assessment of Media Literacy Practices in Georgia, Council of Europe, 2022, https://rm.coe.int/-en/1680a5789e

13 მედიაკრიტიკა. ჩვენს შესახებ. https://mediacritic.ge/about

14 Georgia in RSF Press Freedom Index 2021, civil.ge, https://civil.ge/archives/414458

15 Ekaterine Basilaia, Nino Danelia, Mapping and Needs Assessment of Media Literacy Practices in Georgia, Council of Europe, 2022, https://rm.coe.int/-en/1680a5789e

16 ლაშა ტუღუში, იაგო კაჭკაჭიშვილი, მალხაზ გაგუა, ალექსანდრა კალატოზიშვილი, ბელა რეხვიაშვილი, მიხეილ ფოცხიშვილი ანტილიბერალური განწყობა: თბილისი, აჭარა, სამეგრელო, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2020, https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2021/02/geo-1.pdf

17 რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, სამეგრელო, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი, 2020, https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2020/09/politikis-dokumenti.pdf
იაკობ ლაჩაშვილი, ნიკა მამულაძე, დავით ნაროუშვილი, დეზინფომეტრი, პაატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი (რედ.) საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2021. https://grass.org.ge/uploads/other/2021-03-26/888.pdf
გიორგი ცხადაია, „იმედის" ანტიდასავლური ნარატივი,მედიაჩეკერი, 2022, https://www.mediachecker.ge/ka/mediaethika/92158-imedis-antidasavluri-narativi

კუთხით ევროპის ქვეყნებს შორის ბოლო, 41-ე ადგილზეა.[18]

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, და იმის გათვალისწინებითაც, რომ ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრალურ ხელისუფლებაზე უფრო ახლოს დგანან რეგიონის მოსახლეობასთან და შესაბამისად, მეტი გავლენა შეიძლება ჰქონდეთ მათზე, გაჩნდა საჭიროება, შეგვეფასებინა რამდენად სათანადოდ არის მომზადებული საქართველოს თითოეული რეგიონი თანამედროვე დეზინფორმაციულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამ მიზნის მისაღწევად, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის მკვლევრებმა შევიმუშავეთ რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი, რომელიც ეყრდნობა ექსპერტულ გამოკითხვას და ინტერვიუებს ექსპერტებთან. თითოეული რეგიონი შეფასდა შემდეგი ოთხი კატეგორიის მიხედვით:

- ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა
- პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა
- საინფორმაციო გარემოს მედეგობა
- მოსახლეობის მედეგობა

მომდევნო თავებში გაეცნობით: კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს კონცეპ-ტუალურ ჩარჩოს, რომელსაც დაეყრდნო საქართველოს დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი, დელფის მეთოდის აღწერას, ანალიტიკურ ჩარჩოს და ინდექსის გამოთვლას; კვლევის შედეგებს, სადაც წარმოდგენილია ინდექსის ქულები რეგიონების მიხედვით და ექსპერტებთან ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების შეჯამებები.

18 Marin Lessenski, How It Started, How It is Going: Media Literacy Index, Open Society Institute – Sofia, 2022, https://osis.bg/wp-content/uploads/2022/10/HowItStarted_MediaLiteracyIndex2022_ENG_.pdf

რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსის მეთოდოლოგია

კონცეპტუალური ჩარჩო

სხვადასხვა სფეროს მკვლევრები „მედეგობას“ განსხვავებულად განმარტავენ. სოციალური მედეგობა ზოგადად გულისხმობს „საზოგადოების უნარს, გაუმკლავდეს გაურკვევლობას და გამოჯანმრთელდეს შოკებისა და საგანგებო სიტუაციებისგან.“[19] თანამედროვე საინფორმაციო გარემოში საზოგადოებისთვის მუდმივი, ქრონიკული სტრესის წყაროდ იქცა დეზინფორმაცია[20] და საზოგადოების მედეგობის, აქტიური დაპირისპირების აუცილებლობის წინაშე დააყენა იგი. მაგრამ სოციალური, საზოგადოებრივი მედეგობა, თავის მხრივ, დეზინფორმაციისადმი მედეგობის აუცილებელი წინაპირობაა.[21]

დეზინფორმაციის მიმართ მედეგობის ინდექსის (DRI) თანახმად, „დეზინფორმაციისადმი მედეგობა გულისხმობს სახელმწიფოების, საზოგადოებების და ინდივიდების ადაპტაციას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მიზანმიმართულ ზეწოლასა და სიცრუესთან, რომელიც მედიის სხვადასხვა არხით, მათ შორის ტელევიზიით, რადიოთი, ბეჭდური და ონლაინ მედიით, (და) სოციალური მედიით ვრცელდება და ცდილობს, გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებზე ტარგეტირებით.” [22] 2021 წლის ინდექსი სამ ძირითად ინდიკატორს ეყრდნობა: საზოგადოების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების მედეგობას, კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ბაზისა და ინსტიტუტების მედეგობას და მედიის სფეროსა და ციფრული სფეროს მედეგობას.[23] აღნიშნული ინდიკატორებით ქვეყნების დონეზე მედეგობის შეფასებამ მნიშვნელოვანი სურათი მოგვცა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

თუმცა, მედეგობის საზომი ინდექსის სტანდარტიზება, მისი კომპლექსურობიდან და მრავალმხრივობიდან გამომდინარე, უამრავ სირთულეს უკავშირდება. ერთი მხრივ, გამოწვევას წარმოადგენს საზომი ინდიკატორების ვალიდაცია, მეორე მხრივ - სათანადო მონაცემების ხელმისაწვდომობა.[24] საქართველოს რეგიონების მედეგობის შეფასების მიზნით ინდიკატორების ადაპტირების პირველივე მცდელობა ცხადყოფს განსხვავებული მიდგომის აუცილებლობას. შესაბამისად, დეზინფორმაციის მიმართ მედეგობის წარმოდგენილი ინდექსი, ერთი მხრივ, ეყრდნობა აკადემიურ, პროფესიულ ლიტერატურასა და კვლევებს, მეორე მხრივ კი - დელფის მეთოდის გამოყენებით ახდენს ინდექსის ვალიდაციას. ამასთან, ითვალისწინებს რეგიონების დონეზე ექსპერტული შეფასებებისა და დეტალური რაოდენობრივი მონაცემების სიმწირის ფაქტორებსაც.

არაერთი რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე მკვლევრებმა დაადასტურეს, რომ საზოგადოების თითოეული წევრის დეზინფორმაციისადმი მედეგობაზე გავლენას ახდენს სოციალური, მედია, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს

---

19 Norri–Sederholm, Teija, Elisa Norvanto, Karoliina Talvitie–Lamberg, and Aki–Mauri Huhtinen. “Misinformation and disinformation in social media as the pulse of Finnish national security.” *Social Media and the Armed Forces* (2020): 207-225. https://static1.squarespace.com/static/5f3e9d283afd436ef827c60f/t/63b1fb2a7db2b713adb955af/1672608556338/Social+Media+and+the+US+Military.pdf#page=214

20 RKK. ICDS. 2022. Resilience Against Disinformation A New Baltic Way to Follow? https://icds.ee/wp-content/uploads/dlm_uploads/2022/10/ICDS_Report_Resilience_Against_Disinformation_Teperik_et_al_October_2022.pdf

21 Misinformation and disinformation in social media as the pulse of Finnish national security.” *Social Media and the Armed Forces* (2020): 207-225. https://static1.squarespace.com/static/5f3e9d283afd436ef827c60f/t/63b1fb2a7db2b713adb955af/1672608556338/Social+Media+and+the+US+Military.pdf#page=214

22 Disinformation Resilience in Central and Eastern Europe, 2018, გვ. 6. http://prismua.org/wp-content/uploads/2018/06/DRI_CEE_2018.pdf

23 Disinformation Resilience in Central and Eastern Europe, 2021, გვ. 16 https://east-center.org/wp-content/uploads/2021/09/DRI-report-2021.pdf

24 RKK. ICDS. 2022. Resilience Against Disinformation A New Baltic Way to Follow? https://icds.ee/wp-content/uploads/dlm_uploads/2022/10/ICDS_Report_Resilience_Against_Disinformation_Teperik_et_al_October_2022.pdf

კონკრეტული ფაქტორები.[25][26] კვლევები აჩვენებს, რომ პოლარიზებული და რადიკალიზებული პოლიტიკური გარემო ზიანს აყენებს ადამიანების მედეგობას დეზინფორმაციის მიმართ.[27] აქედან გამომდინარე, წინამდებარე ინდექსი საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობას განიხილავს, როგორც **ხელისუფლების** (რომელიც პასუხისმგებელია მოსახლეობის მედეგობის ხელშემწყობ ქმედებებზე), ასევე **პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების** (რომლებიც ეწევიან კომუნიკაციას საზოგადოებასთან) მედეგობის ჭრილში. ჩვენს არჩევანს და აღნიშნული ორი მიმართულების შიგნით შერჩეულ ინდიკატორებს ამყარებს ისიც, რომ, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ეფექტური მედეგობა მოითხოვს ღია დიალოგს საჯარო ინსტიტუტებს, პოლიტიკოსებსა და მოსახლეობას შორის დეზინფორმაციული საფრთხეების შესახებ, რამდენადაც ეფექტური კომუნიკაცია შეიძლება დაეხმაროს მოქალაქეებს, შეინარჩუნონ ლიბერალური ღირებულებების, დემოკრატიული პროცესებისა და მმართველობითი სტრუქტურების მიმართ ნდობა.[28] მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია სრულიად მთავრობის (ცენტრალური და ადგილობრივი) ჩართულობა მოსახლეობის რეზისტენტობისა და ზოგადად მედეგობის ამაღლების საქმეში.[29] **ადგილობრივი ხელისუფლების** ორგანოების როლი დეზინფორმაციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი ყველაზე ახლოს დგანან მოქალაქეებთან (ფიზიკური დისტანციის თვალსაზრისით) და შესაძლოა ჰქონდეთ მეტი მხარდაჭერა მათგან.[30]

მნიშვნელოვანია ინდექსის მესამე კატეგორია, **საინფორმაციო გარემო**. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კვლევაში განსხვავებული შედეგები მიიღეს მედიისადმი ნდობის, როგორც დეზინფორმაციისა და ყალბი ინფორმაციის ზეგავლენის შემაკავებელი მნიშვნელოვანი ფაქტორის თაობაზე,[31] მკვლევრები გამოყოფენ მედიის მიმართ ნდობას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რამდენადაც კრიტიკულად მოაზროვნე მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია გადამოწმებული ინფორმაციის როლი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისა და დეზინფორმაციისადმი მედეგობის თვალსაზრისით. კვლევებში ხშირად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივ მაუწყებლებს, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, აკისრიათ საზოგადოების „გამოჯანმრთელების“ ხელშეწყობის ფუნქცია.[32] გარდა ამისა, სოციალური მედიის, როგორც პოლიტიკური ინფორმაციის წყაროს მოხმარება მოსახლეობის დეზინფორმაციისადმი მოწყვლადობას ზრდის, როგორც ეს არაერთმა კვლევამ აჩვენა.[33] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები დეზინფორმაციისადმი მედეგობის გასაძლიერებლად უფრო მეტი ცოდნითა და ინსტრუმენტით აღვჭურვოთ.[34]

---

25 Humprecht, E., Esser, F. and Van Aelst, P., 2020. Resilience to online disinformation: A framework for cross-national comparative research. *The International Journal of Press/Politics*, *25*(3), pp.493-516

26 Humprecht, E., Esser, F., Aelst, P.V., Staender, A. and Morosoli, S., 2021. The sharing of disinformation in cross-national comparison: analyzing patterns of resilience. *Information, Communication & Society*, pp.1-21.

27 Ibid.

28 Misinformation and disinformation in social media as the pulse of Finnish national security." *Social Media and the Armed Forces* (2020): 207-225. https://static1.squarespace.com/static/5f3e9d283afd436ef827c60f/t/63b1fb2a7db2b713adb955af/1672608556338/Social+Media+and+the+US+Military.pdf#page=214

29 Ibid

30 Tony Zamparutti, Matthew Jones, Tugce Tugran, Laura Vona, Leïla Navas (Milieu S.R.L.) and Katarzyna W. Sidło, Agnieszka Kulesa, Oskar Chmiel (CASE). Developing a handbook on good practice in countering disinformation at local and regional level. https://cor.europa.eu/en/engage/studies/Documents/Developing%20a%20handbook%20on%20%20good%20practice%20in%20countering%20%20disinformation%20at%20local%20%20and%20regional%20level/Online-disinformation_full%20study.pdf

31 Boulianne, Shelley, Chris Tenove, and Jordan Buffie. "Complicating the resilience model: a four-country study about misinformation." *Media and Communication* 10, no. 3 (2022): 169-182. https://www.cogitatiopress.com/mediaandcommunication/article/view/5346

32 Humprecht, E., Esser, F. and Van Aelst, P., 2020. Resilience to online disinformation: A framework for cross-national comparative research. *The International Journal of Press/Politics*, *25*(3), pp.493-516

33 Ibid.;
Humprecht, E., Esser, F., Aelst, P.V., Staender, A. and Morosoli, S., 2021. The sharing of disinformation in cross-national comparison: analyzing patterns of resilience. *Information, Communication & Society*, pp.1-21.

34 Media and Information Literacy, UNESCO, https://www.unesco.org/en/media-information-literacy

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ინდექსის მეოთხე - **საზოგადოებრივი** კატეგორია, რაც მოიცავს, ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებულ განწყობებსა და ნდობას, მეორე მხრივ კი, მედეგობის გასაძლიერებლად მზაობას. დეზინფორმაციას და ყალბ ამბავს შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანების რწმენებსა და ქცევებზე. შესაბამისად, საზოგადოების განწყობების შესწავლა და გათვალისწინება შეფასებისას განსაკუთრებით მნიშნველოვანი ხდება, რამდენადაც ფასეულობებისა და იდეოლოგიების დაცვის მოტივაციამ, ადამიანებს შესაძლოა უბიძგოს დაიჯერონ ის ინფორმაცია, რომელიც ეხმიანება მათ ფასეულობებს, იმ ინფორმაციაზე მეტად, რომელიც, მათივე აღქმით, საფრთხეს უქმნის და ეწინააღმდეგება ამ ღირებულებებს.[35] გარდა ღირებულებითი თუ იდეოლოგიური ფაქტორებისა, საზოგადოების მოწყვლადობაზე გავლენას შეიძლება ახდენდეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა, მაგალითად, ასაკი, სოციალური მედიაზე ძლიერი დამოკიდებულება და მედიაწიგნიერების დაბალი დონე.[36]

ანალიტიკური ჩარჩო[37]

ქვემოთ მოცემულია კატეგორიები და ინდიკატორები, რომლებსაც ეყრდნობა ინდექსი.

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა - ეს კატეგორია ქვემოთ ჩამოთვლილ ოთხ ინდიკატორს ეყრდნობა (რვა დებულება):

- ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული აქტივობები და დეზინფორმაციასთან გამკლავების შესაძლებლობები
- ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა
- ადგილობრივი სასამართლოს დამოუკიდებლობა
- ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი (არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში).

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა - ეს კატეგორია ქვემოთ ჩამოთვლილ ორ ინდიკატორს ეყრდნობა (ხუთი დებულება):

- პარტიული პოლარიზაცია
- პარტიების და პოლიტიკოსების ანტიდასავლური დისკურსი

საინფორმაციო გარემოს მედეგობა - ეს კატეგორია ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს ინდიკატორს ეყრდნობა (15 დებულება):

- პოლარიზაცია ადგილობრივ მედიაში
- დეზინფორმაციის გავრცელების ხარისხი ადგილობრივ მედიაში
- ადგილობრივი მედიის გამოწვევები
- ადგილობრივი მედიის მუშაობა და გავლენა
- ადგილობრივი მედიის გამჭვირვალობა
- სამოქალაქო საზოგადოების მუშაობის ეფექტურობა

საზოგადოების მედეგობა - ეს კატეგორია შვიდ ინდიკატორს ეყრდნობა (16 დებულება):

- საზოგადოების ნდობა სახლმწიფო ინსტიტუტების და მედიის მიმართ
- საზოგადოების მიერ მედიის გამოყენება
- საზოგადოების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა
- საზოგადოების მედიაწიგნიერების უნარები
- საზოგადოების დამოკიდებულება დასავლეთის და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ
- საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ
- ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნა

35 Andrea Pereira, Elizabeth Harris and Jay J. Van Bavel, Identity concerns drive belief: The impact of partisan identity on the belief and dissemination of true and false news. *Group Processes & Intergroup Relations*, 2023, *26*(1), 24–47. https://journals.sagepub.com/doi/10.1177/13684302211030004

36 Humprecht, Edda, et al. "The sharing of disinformation in cross-national comparison: Analyzing patterns of resilience." *Information, Communication & Society* (2021): 1-21.

37 დაწვრილებით კატეგორების და ინდიკატორების შესახებ იხილეთ დანართი: http://www.cmis.ge/projects/rdri/ka

დელფის მეთოდი

დელფი არის „ჯგუფური გადაწყვეტილების გამოვლენისა და დახვეწის“ მეთოდი.[38] ეს მეთოდი უზრუნველყოფს ექსპერტთა მოსაზრებების რამდენიმეეტაპიან შესწავლას. რესპონდენტთა ანონიმური გამოკითხვა გამორიცხავს ექსპერტების მიერ ერთმანეთის მოსაზრებაზე გავლენის მოხდენას. დელფის მეთოდისთვის დამახასიათებელია ექსპერტთა ჯგუფის გამოკითხვა ორ ან სამ ტალღად, რათა მოხდეს მათი მოსაზრებების შეჯერება და ერთმანეთთან დაახლოება. პროექტის ფარგლებში დელფის მეთოდით გამოკითხვაზე სწორედ ხსენებული მიზეზებით გაკეთდა არჩევანი. ამასთან, თვითადმინისტრირებული კითხვარი რესპონდენტებს საშუალებას აძლევს, დებულებებს დამოუკიდებლად გაეცნონ, მათთვის საჭირო დრო დაუთმონ თითოეული კითხვის გააზრებას და თავიდან იქნას აცილებული სოციალურად სასურველი პასუხები.

რეგიონებში ექსპერტები შეირჩნენ მიზნობრივი და თოვლის გუნდის მეთოდით. შერჩევის კრიტერიუმები ორი მიმართულებით განისაზღვრა: ა) რესპონდენტები უნდა ყოფილიყვნენ ადგილ-ობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიასაშუალებების (გარდა თბილისისა) და/ან განათლების სექტორის წარმომადგენლები; ბ) ჰქონოდათ დეზინფორმაციის, დემოკრატიისა და საზოგადოების განვითარების და განათლების საკითხებზე მუშაობის გარკვეული ცოდნა/ გამოცდილება.

დელფის მეთოდის გამოყენებით ექსპერტთა გამოკითხვა სამ ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპის გამოკითხვა ემსახურებოდა ჩვენს მიერ შემუშავებული საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსის ოთხი კატეგორიის ქვეშ გაერთიანებული 54 დებულების ვალიდაციას. გამოკითხვის შედეგად რეგიონებში ადგილობრივმა ექსპერტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს, რამდენად რელევანტური იყო თითოეული დებულება დეზინფორმაციისადმი მედეგობის შესაფასებლად. კვლევაში 131-მა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა (აჭარა - 14; გურია - 10; თბილისი - 16; იმერეთი - 14; კახეთი - 10; მცხეთა-მთიანეთი - 6; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 7; სამეგრელო ზემო-სვანეთი - 14; სამცხე -ჯავახეთი - 16; ქვემო ქართლი - 14; შიდა ქართლი - 10). შეთავაზებული 54 დებულებიდან 9-ის შემთხვევაში ექსპერტთა შორის თანხმობა ძალიან დაბალი იყო, რის გამოც ეს დებულებები დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსიდან ამოღებული იქნა და, შესაბამისად, კვლევის მეორე ეტაპიდან გამოირიცხა.

დელფის მეორე ეტაპზე 116-მა ექსპერტმა (აჭარა - 13; გურია - 10; თბილისი - 16; იმერეთი - 10; კახეთი - 10; მცხეთა-მთიანეთი - 5; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 6; სამეგრელო ზემო-სვანეთი - 12; სამცხე -ჯავახეთი - 13; ქვემო ქართლი - 11; შიდა ქართლი - 10) შეაფასა დარჩენილი 44 დებულება, რომელიც ოთხი ძირითადი კატეგორიის ქვეშ იყო გაერთიანებული: ადგილობრივი თვითმმართველობა, პარტიები და პოლიტიკოსები საინფორმაციო გარემო და საზოგადოება. 5-ქულიანი სკალის გამოყენებით რესპონდენტებმა შეაფასეს, რამდენად ასახავდა თითოეული დებულება მათ რეგიონში არსებულ მდგომარეობას. იქიდან გამომდინარე, რომ ინდექსის ოთხი კატეგორია დებულებების არათანაბარ რაოდენობას შეიცავდა, გადაწყდა, ექსპერტებს შეეფასებინათ, თუ რა როლი უნდა ჰქონოდა ადგილობრივ ხელისუფლებას, პარტიებს და პოლიტიკოსებს, საინფორმაციო გარემოს და საზოგადოებას დეზინფორმაციისადმი მედეგობის გაძლიერებაში. ამისთვის, ექსპერტებმა 100 ქულა ამ ოთხ კატეგორიას შორის გადაანაწილეს, რამაც საბოლოო შეფასებაში თითოეული კატეგორიის ხვედრითი წილი განსაზღვრა.

მეორე ეტაპის შედეგად, ოთხი კატეგორიის ქვეშ თავმოყრილი კითხვების დაჯამებით, განისაზღვრა რეგიონის მიხედვით თითოეული კატეგორიის საშუალო ქულა.

მესამე ეტაპზე რეგიონის აკუმულირებული ქულები კვლავ გაეგზავნათ ექსპერტებს და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, დათანხმებოდნენ ან

38 Norman Dalkey, The Delphi method: An experimental study of group opinion, RAND Corporation, 1969, Santa Monica, CA. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_memoranda/2005/RM5888.pdf

არ დათანხმებოდნენ რეგიონის მაჩვენებელს თითოეული კატეგორიისთვის; არდათანხმების შემთხვევაში კი ცვლილებები შეეტანათ მასში. მესამე ეტაპზე 84-მა ექსპერტმა უპასუხა კითხვებს, რა დროსაც მათი შეფასებები უმეტეს შემთხვევაში ემთხვეოდა ერთმანეთს.

რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების შემდეგ, მიღებული შედეგების უფრო ფართო ჭრილში გასაანალიზებლად და იმის გასაგებად, თუ როგორ ხსნიდნენ რესპონდენტები რეგიონის ქულებს, 35 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა (თითო რეგიონში 3-4 ინტერვიუ).

ინდექსის გამოთვლა

რეგიონების ქულები ეყრდნობა მესამე ეტაპის შედეგად მიღებულ შედეგებს. ამ შემთხვევაში განისაზღვრა მაქსიმალური შესაძლო ქულიდან რეგიონის მიერ თითოეულ კატეგორიაში მიღებული საშუალო ქულის პროცენტული წილი და თითოეულ კატეგორიას მიენიჭა ექსპერტების მიერ შემოთავაზებული ხვედრითი წილი (ადგილობრივი ხელისუფლება 34%, პარტიები და პოლიტიკოსები 22%, საინფორმაციო გარემო 28%, საზოგადოება 16%). ბოლო ეტაპზე, დეზინფორმაციის მედეგობის ქულა შეწონილი საშუალოს პრინციპით გამოითვალა: $\sum^{n}i=1 (xi*wi)/\sum^{n}i=1wi$

შედეგები

თბილისი

რეგიონის ქულა: 42

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 28%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 28%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტებთან ინტერვიუებმა გამოავლინა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა რეალური დეცენტრალიზაციის არარსებობა და ადგილობრივი თვითმმართველობების გამჭვირვალობის ნაკლებობა. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკას ავითარებენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი გავლენას ახდენს როგორც მედიის და სამოქალაქო სექტორის მუშაობაზე, ასევე საზოგადოების ინფორმირებაზე.

ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ჟურნალისტები ვერ იღებენ დასმულ კითხვებზე პასუხებს დროულად და სასურველი ფორმით, ისინი ვერ ახერხებენ სასურველი თემის გაშუქებას; გარდა ამისა, ჟურნალისტებს ხელი ეშლებათ ფაქტების გადამოწმების და დაზუსტების საქმეში. ამან კი შეიძლება ხელი შეუწყოს არასწორი ინფორმაციის გავრცელებასაც.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების შეფასებისას **ექსპერტები ამბობენ, რომ ადგილობრივი საჯარო უწყებები დიდწილად ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გამტარები არიან** ამ მიმართულებითაც. ერთმა ექსპერტმა გაიხსენა „მითების დეტექტორის“ მონიტორინგის შედეგები, რომელთა თანახმადაც, “ქართული ოცნების” კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ შექმნილი ფეისბუკგვერდის - “სინამდვილეში” პოსტებს აზიარებენ რეგიონებსა და თბილისში საჯარო უწყებებში დასაქმებული ადამიანები. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ მათ კანონმდებლობით პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულება აქვთ.[39]

ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ხშირად, ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ჯგუფები (ულტრამემარჯვენე და პროსახელისუფლებო), რომლებიც ავრცელებენ დეზინფორმაციას. მან გაიხსენა თბილისის მერის, კახი კალაძის, პოსტებზე გაკეთებული კრიტიკული კომენტარების წაშლის შემთხვევები, რა დროსაც, კომენტარების ველში ძირითადად ტროლ-ბოტების დეზინფორმაციული პოსტები რჩებოდა. “ეს შეიძლება საზიანო იყოს საზოგადოებრივი აზრისთვის და საჯარო დისკუსიის სწორად წაყვანისთვის,“ ამბობს ექსპერტი.

რაც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობას, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თბილისის რეგიონში სასამართლო ხელისუფლება, რომელიც მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს მთავრობის მიერ მიღებული ქმედებების ან გადაწყვეტილებების კანონიერების დადგენის და მედიისა და ჟურნალისტების უფლებების დაცვის საკითხებში, მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფება, რაც არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ხელს უშლის ქვეყანაში მედიისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 34%

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მედეგობა 34%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ინტერვიუებში ექსპერტები საუბრობენ ადგილობრივი პოლიტიკოსების მხრიდან პარტიული დეზინფორმაციის და ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივების გავრცელებაზე და მედიის და არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციაზე. ექსპერტები ამბობენ, რომ 2022-2023 წლებში მმართველი პარტია დეზინფორმაციული კამპანიების წარმოებით

39 ანი ქისტაური & თამარ კინწურაშვილი, “რა არის დემოკრატია, დისკრედიტაცია და რელიგიური პროპაგანდა “სინამდვილეში”? – მმართველი პარტია კრიტიკული აზრის წინააღმდეგ”, მედიის განვითარების ფონდი, იანვარი 18, 2023, https://mythdetector.ge/ka/ra-aris-demokratia-diskreditatsia-da-religiuri-propaganda-sinamdvileshi/

გამოირჩეოდა, რაც ხშირად მიმართული იყო დასავლელი პარტნიორების მიმართაც. ამგვარ რიტორიკას ავრცელებდა როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს კრიტიკული მედიების დისკრედიტაციის და სტიგმატიზაციის მცდელობებსაც. ეს ხელს უშლის ჯანსაღი მედიაგარემოს ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელებას მედიისა და ჟურნალისტების მიმართ და ზოგადად აჩენს მიუღებლობას კრიტიკული აზრის წინააღმდეგ.

ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელ პოლიტიკოსებს ახასიათებთ ვიწრო პარტიული ინტერესით მოქმედება და საჯარო ინტერესის უკან დაყენება, რა დროსაც ისინი არ ერიდებიან დეზინფორმაციის გავრცელებასაც. „აქედან გამომდინარე, დაბალი სანდოობა აქვთ, რაც ჩანს ყოველთვის, როცა რამე ტიპის პოლიტიკურ ან აპოლიტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე," ამბობს ექსპერტი.

ამის მიუხედავად, ის ექსპერტები, რომლებიც სხვადასხვა აქტორების, მათ შორის პოლიტიკოსების ქცევას აკვირდებიან სოციალურ მედიაში, ამბობენ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში შემცირდა ოპოზიციური პარტიების მხრიდან ორგანიზებული დეზინფორმაციული კამპანიების წარმოება. [40]

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 52%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 52%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. თბილისის მოსახლეობა ინფორმაციას თბილისში მიმდინარე მოვლენებზე ძირითადად ეროვნული მაუწყებლებიდან, ონლაინ მედიებიდან და სოციალური ქსელებიდან იღებს.[41] სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ანგარიშების თანახმად, ყველაზე ყურებადი ეროვნული მაუწყებლები პოლიტიზებულია, ერთი ნაწილი ხელისუფლების, მეორე კი - ოპოზიციის სასარგებლოდ მიკერძოებული.[42] ონლაინ მედიების ნაწილი დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მატარებელია, ხარისხიან, დაბალანსებულ და ეთიკურ მასალას სთავაზობს აუდიტორიას.

კვლევაში მონაწილე ერთმა ექსპერტმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვა ზოგიერთ **ცენტრალურ მაუწყებელზე სუბიექტური მოსაზრებების სიჭარბეს და ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტური პროდუქტების სიმცირეს,** როგორც გამოწვევას საინფორმაციო გარემოსთვის.

ერთმა ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროსახელისუფლებო მედიები გასულ წელს ღიად ანტიდასავლური, პრორუსული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში იყვნენ შემჩნეულები.

ექსპერტმა გაიხსენა პროსახელისუფლებო და ღიად პრორუსული ("ალტ-ინფო") მედიების მიერ გავრცელებულ ყალბი და დეზინფორმაციული ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა აშ.შ.-ში ბავშვებისთვის მშობლების ნებართვის გარეშე სქესის შეცვლას. იმავე ექსპერტის თქმით, პროსახელისუფლებო მედიები ასევე ხშირად თავინთი ვებგვერდებიდან და სოციალური ქსელებიდან ავრცელებენ ანტიდასავლური შინაარსის პოსტებს, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური მედიების გვერდებიდან აზიარებენ.

დამოუკიდებელი მედიების საქმიანობას ექსპერტები დადებითად აფასებენ, ამბობენ, რომ სწორედ მათი დამსახურებაა ფაქტებზე დაფუძნებული და მიუკერძოებელი შინაარსის ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიებს მთელი რიგი გამოწვევები აქვთ, რომელთა შორის ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას[43] და შემოსავლების სიმწირეს გამოყოფენ. ექსპერტები ამბობენ, რომ შემოსავლების სიმწირე ხელს უშლის მედიას შეინარჩუნოს პროფესიონალი კადრები, რაც თავისთავად ახდენს გავლენას მათ მუშაობაზე.

---

40 თამარ კინწურაშვილი& თინა გოლიაძე, "ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში", მედიის განვითარების ფონდი, 2023, https://mythdetector.ge/ka/ra-aris-demokratia-diskreditatsia-da-religiuri-propaganda-sinamdvileshi/

41 CRRC,"მნიშვნელოვანი წყარო საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად", 2021, https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/INFSOU1-by-SETTYPE/

42 https://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/2021-04_7_-_CHARTER_-_TV_SHOWS_04.2021-GE.pdf

43 RSF and partners call on Georgian President Zurabishvili to pardon Nika Gvaramia, https://rsf.org/en/rsf-and-partners-call-georgian-president-zurabishvili-pardon-nika-gvaramia.

ექსპერტებმა ასევე ახსენეს პრორუსული მედიასაშუალების - "ალტ-ინფოს" აქტიურობა კრემლის დეზინფორმაციის გავრცელების კუთხით 2022 წელს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის პარალელურად, თუმცა, აღნიშნეს, რომ თბილისის მოსახლეობის განწყობებზე ამან გავლენა ვერ მოახდინა.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლებისა და დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ ექსპერტები დადებითად აფასებენ. ისინი ამბობენ, რომ ფაქტჩეკერების მომზადებული მასალები ხელს უწყობს საინფორმაციო გარემოს გაჯანსაღებას და დეზინფორმაციის შემცირებას, თუმცა, აღნიშნავენ, რომ არ არის ფართოდ გავრცელებული და, შესაბამისად, ვერ ახდენს სათანადო და სასურველ გავლენას საზოგადოებაზე.

▶ საზოგადოების მედეგობა: 63%

საზოგადოების მედეგობამ სხვა კატეგორიებთან შედარებით მაღალი შეფასება მიიღო - 63%, რაც საშუალოზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელია. ინტერვიუებში ექსპერტები საუბრობენ საზოგადოების მზაობაზე გაუმკლავდეს დეზინფორმაციის გამოწვევებს. ზოგიერთმა ექსპერტმა ახსენა 2023 წლის თებერვალ-მარტში განვითარებული მოვლენები (ე.წ. "რუსული კანონის" წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები) და 2022 წლის ზაფხულში საქართველოს ევროპული მომავლის მხარდამჭერი აქციები, რამაც, მათი შეფასებით, ცხადყო უმრავლესობის მზაობა, წინააღმდეგობა გაუწიოს დეზინფორმაციულ ნარატივებს.

> **"აქციებმა გამოაჩინა, რომ საზოგადოება გაცილებით უკეთ არის მომზადებული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს," ამბობს ექსპერტი.**

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს ახალგაზრდების მიერ თამანედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და გახსნილობას სიახლეების მიმართ. ისინი მიიჩნევენ, რომ თბილისის მოსახლეობას მეტ-ნაკლებად მიუწვდება ხელი **მედიაწიგნიერების რესურსებზეც**, **რასაც ყველაზე დიდი რაოდენობით არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ.**

ექსპერტების ნაწილმა ისაუბრა ისეთ გამოწვევებზეც, როგორებიცაა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება მათთვის გასაგებ ენაზე, მოსახლეობის დაბალი ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების და მედიის მიმართ, რამაც ხელი შეიძლება შეუწყოს დემოკრატიის ხარისხის დაცემას და ნაყოფიერი ნიადაგი შექმნას დეზინფორმაციის გასავრცელებლად.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რეგიონის ქულა: 42

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 29%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 29%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა ცალკეული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების დეზინფორმაციული გამოწვევების მიმართ მედეგობას. **ექსპერტები საუბრობენ თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზე, მათი მხრიდან მედიაწიგნიერების ამაღლების თუ დეზინფორმაციასთან ბრძოლის ინიციატივების არარსებობაზე.** ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები არ არიან დამოუკიდებლები გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან მათ დღის წესრიგს ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს. ექსპერტების შეფასებით, ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხიც დაბალია, რაც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 58%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობასთან შედარებით მაღალი შეფასება მიიღო ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობამ - 58%. თუმცა, ინტერვიუების დროს ექსპერტებმა გააკრიტიკეს პარტიები და პოლიტიკოსები და ზოგადად პოლიტიკური ცხოვრება რეგიონში. მათი თქმით, **პოლიტიკური ცხოვრება რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში პასიურია**. რეგიონში არ არის წარმოდგენილი ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტების ოფისები. ისინი მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდებიან. ინტერვიუების დროს ექსპერტებს არ უხსენებიათ პოლიტიკოსების თუ პარტიების მხრიდან დასავლეთის თუ სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის შემთხვევები.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა 43%

რეგიონის საინფორმაციო გარემოს მედეგობა 43%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებლს წარმოადგენს. ინტერვიუების დროს ექსპერტებმა აღნიშნეს დამოუკიდებელი ადგილობრივი საინფორმაციო მედიასაშუალებების სიმწირე. რეგიონში გამოიცემა რამდენიმე გაზეთი და ონლაინ მედიასაშუალება, რომელებიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან ფინანსდება.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში მნიშვნელოვან საკითხებს დამოუკიდებელი მედიასაშუალება „მთის ამბები“ აქტიურად ფარავს.

მოსახლეობა მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციას რამდენიმე აქტივისტის სოციალური ქსელების გვერდებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იგებს.

რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დემოკრატიის გაძლიერებაზე, ინფორმაციის გადამოწმებაზე იმუშავებდნენ ცოტაა. მათ შორის ყველაზე დიდი და აქტიური ორგანიზაცია, „აფხაზქორი“, ქალი მეწარმეების მედიაწიგნიერების და ციფრული უნარების ამაღლების პროექტზე მუშაობს.

▶ საზოგადოება მედეგობა 49%

რეგიონის მოსახლეობის მედეგობა 49%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტების აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იჩენს ინტერესს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, ნაკლებად არის ჩართული მმართველობით პროცესში და თითქმის არასდროს გამოხატავს პროტესტს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის პასიურობა ნაწილობრივ განპირობებულია ადგილობრივი, დამოუკიდებელი მედიასაშუალებების პრაქტიკულად არარსებობით. ერთმა ექსპერტმა ახსენა 2023 წლის მარტში ე.წ. “რუსული კანონის” განხილვის საპასუხოდ რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართული აქცია, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ ფაქტს ექსპერტი იმითიც ხსნის, რომ რეგიონში დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი მუნიციპალურ სამსახურებში ან თავად მუშაობს, ან მათი ოჯახის წევრები და ახლობლები, რაც მოსახლეობას თავშეკავებისკენ უბიძგებს.

რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება და რაოდენობის მატება შეიმჩნევა, რაც ექსპერტების აზრით, გააჩენს ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის მედეგობის ამაღლებას.

მცხეთა-მთიანეთი

რეგიონის ქულა: 43

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 33%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 33%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტები, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა, საუბრობენ ადგილობრივი თვითმმართველობების გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზე. ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით რეგიონში მდგომარეობა განსაკუთრებით ბოლო წლებში გაუარესდა. მისი თქმით, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია ძირითადად სხდომის წინა დღეს ვრცელდება, რაც ხელს უშლის სამოქალაქო სექტორის და მოსახლეობის ჩართულობას პროცესში. ინფორმაცია არც თვითმმართველობის ვებგვერდებზე ქვეყნდება პროაქტიულად. ერთი ექსპერტის თქმით, საკრებულოს სხდომის პირდაპირი ტრანსლირების პრაქტიკა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არ არის დანერგილი და ასევე ხშირად არ ქვეყნდება განხილვის ოქმებიც.

ექსპერტები ამბობენ, რომ საჯარო ინფორმაცია არასამთავრობო სექტორისთვის რთულად ხელმისაწვდომია. **ადგილობრივი საჯარო უწყებები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ინფორმაციას ხშირად ან არ აწვდიან, ან აწვდიან კანონმდებლობით გათვალისწინებული დროის დარღვევით და ხშირ შემთხვევაში, ინფორმაცია არარელევანტურია ან დამატებით დამუშავებას საჭიროებს.** გარდა ამისა, ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს შეზღუდოს არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკული საკითხების ირგვლივ კითხვების დასმა და ინფორმაციის მოძიება.

> **„ინფორმაციის გამოთხოვაც ითვლება უარყოფითად, მაგალითად, წერილებს რომ ვითხოვდით, გვეუბნებოდნენ, რაში გაინტერესებთ, რად გინდათ?“ ამბობს ექსპერტი.**

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლების თუ ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საკითხებზე ღონისძიებების შესახებ ექსპერტები ამბობენ, რომ მსგავსი ინიციატივები ადგილობრივ საჯარო უწყებებს არ განუხორციელებიათ.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 66%

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 66%-ით შეფასდა, რაც საშუალოზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელია. ექსპერტები ამბობენ, რომ რეგიონის მუნიციპალიტეტებში პოლიტიკური ცხოვრება პასიურია და მხოლოდ მმართველი პარტიის ადგილობრივი ოფისი მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში. დანარჩენი პარტიების აქტიურობა არჩევნებს უკავშირდება და არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იწყება.

ექსპერტები საუბრობენ **მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობაზეც.** ერთი ექსპერტის შეფასებით, მმართველი პარტიის ადგილობრივი პოლიტიკოსების მხრიდან სხვადასხვა ხელისუფლების პერიოდში ადგილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების ოპოზიციად მოხსენიებას. ეს, მისი შეფასებით, ადგილობრივი მოსახლეობის თვალში აზარალებს სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების იმიჯს და ეჭვქვეშ აყენებს მათ საქმიანობას. ერთი ექსპერტის ამბობს, რომ მსგავსი დამოკიდებულების გამოხატვა სამოქალაქო სექტორის მიმართ დღეს ძირითადად სოციალურ ქსელებში ხდება და მაგალითად მოჰყავს 2023 წლის მარტის მოვლენებთან დაკავშირებით ყაზბეგის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ არასამთვრობო სექტორის მადისკრედიტირებელი ვიდეორგოლების გავრცელება.[44]

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 31%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 31%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტები ასეთ შეფასებას ხსნიან ადგილობრივი საინფორმაციო მედიასაშუალებების არარსე-

44 https://www.facebook.com/100077769729823/videos/524094243138772
https://www.facebook.com/watch/?v=1201176980520432

ბობით. დუშეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სპეციალიზირებული ტელევიზია "აგროგარემო", რომელიც ადგილობრივი თემისთვის აქტუალურ საკითხებს აშუქებს. **თუმცა, ზოგადად, ინფორმაციის წყარო ადამიანებისთვის ცენტრალური მედიები, ინტერნეტი და სოციალური ქსელებია.** რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალური ქსელებით და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული გაზეთების საშუალებითაც იგებს. გარდა ამისა, ექსპერტები ამბობენ, რომ სამოქალაქო სექტორს და აქტივისტებს საზოგადოებამდე ინფორმაციის მისატანად პირადი ურთიერთობების გამოყენებაც უწევთ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მნიშვნელოვან მიმდინარე საკითხებს მედიასაშუალება „მთის ამბები" პერიოდულად აშუქებს, თუმცა, ექსპერტები ამბობენ, რომ ეს არ არის საკმარისი სხვადასხვა მწვავე თემების წამოწევისა და ადგილობრივი მნიშვნელობი საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე საუბრისას ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის პერიოდულად აშუქებს რეგიონთან დაკავშირებულ მოვლენებს, თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული მასალები არ აქვს.

ექსპერტების შეფასებით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა დეზინფორმაციის და მედიაწიგნიერების მიმართულებით მწირი და არასაკმარისია და მხოლოდ რამდენიმე ტრენინგით შემოიფარგლება.

▶ საზოგადოების მედეგობა: 53%

მოსახლეობის მედეგობა 53%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მცხეთა-მთიანეთის საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილისთვის დემოკრატიული ღირებულებები და დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება მნიშვნელოვანია. ერთმა ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მთის მოსახლეობის ნაწილის დამოკიდებულებულება სახელმწიფო შემწეობაზე განაპირობებს მოქალაქის მხრიდან კრიტიკის ნაკლებად გამოხატვას.

გამოწვევებზე საუბრისას ექსპერტები ასევე ახსენებენ **პრორუსული დეზინფორმაციის გავრცელებას ერთი მხრივ ხელისუფლების, მეორე მხრივ კი ცალკეული რელიგიური ლიდერების მხრიდანაც**. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, ყაზბეგის მუნიციპალიტის მოსახლეობის უკიდურესად კონსერვატიული ნაწილი, არცთუ იშვიათად აზიარებს სოციალურ მედიაში ისეთ დეზინფორმაციულ პოსტებს, რომელიც მოსახლეობას ევროკავშირისგან თავის დაცვისკენ მოუწოდებს. იმავე ექსპერტის შეფასებით, ხელისუფლების მხრიდან 2022-2023 წლებში ომის შიშის ნარატივმა გავლენა მოახდინა ადამიანების ნაწილზე: "...დღეს ადამიანები კითხულობენ - რატომ მიდიან და იღუპებიან სხვის ომში?"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

რეგიონის ქულა:43

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 29%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 29%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტები ინტერვიუებში საუბრობენ ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი, მედია-წიგნიერების ამაღლებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით ინიციატივების არარსებობა. ექსპერტები აცხადებენ, რომ **ადგილობრივი თვითმმართველობები არ მოქმედებენ ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად.** ერთ-ერთმა ექსპერტმა ამის მაგალითად მოიყვანა 2022 წელს ბათუმში ჩატარებული ოდესის ლიტერატურული ფესტივალი, რა დროსაც ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები ფესტივალისთვის ფართის გამოყოფით შემოიფარგლნენ, ხალხის მობილიზებას და საჯარო გამოსვლას კი თავი აარიდეს.

> **"ბათუმის მერია იმაზე მეტს არ გააკეთებს რასაც ცენტრალური ხელისუფლება აკეთებს ან კარნახობს, ეს ადმიანები პარტიულ ნარატივს ვერ გადალახავენ", ამბობს ექსპერტი.**

ერთ-ერთი ექსპერტის თანახმად, მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობები არათუ არ ცდილობენ იმუშაონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე საგარეო საფრთხეებთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლების მსგავს პრორუსულ მესიჯებს თავად იმეორებენ. მან გაიხსენა საჯარო მოხელეების მიერ სოციალური მედიის პირად გვერდებზე გაზიარებული განცხადებები და პოსტები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების პრორუსულ რიტორიკას იმეორებდა უკრაინის ომის პარლელურად საქართველოში ომში ჩართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტების შეფასებით, ადგილობრივ თვით-მმართველობებთან სამოქალაქო სექტორის ურთიერთობა ბოლო წლებში საგრძნობლად გაურესდა. მართალია, ე.წ. მომსახურების მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებთან (შშმ პირთა დახმარების, სოციალური პროგრამების მიმწოდებელი ორგანიზაციები) თანამშრომლობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების გამოცდილება არსებობს, ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მიუღებლობა 2019 წლის 20 ივნისის[45] მოვლენების შემდეგ გაუარესდა. "თუ ადრე შეგვეძლო ქონებრივი დეკლარაციების შევსების შესახებ ტრენინიგი ჩაგვეტარებინა საჯარო მოხელეებისთვის, ან საჯარო მოხელეს შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებაზე გვემსჯელა მათთან, ახლა ყველა კარი დაიხურა," ამბობს ექსპერტი.

▶ პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 52%

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 52%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა, მიიჩნევენ, რომ რეგიონში **პოლიტიკური ცხოვრება, მართალია აქტიურობით ჩამოუვარდება დედაქალაქს, მაგრამ შედარებით უფრო ცოცხალია, ვიდრე სხვა რეგიონებში. სხვა რეგიონებთან შედარებით, იგრძნობა პარტიული პოლარიზაციაც.** მმართველი პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლები ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად ანტიდასავლურ და პრორუსულ რიტორიკას აქტიურად მიმართავენ. ხშირია მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდანაც. ეს განაპირობებს საზოგადოების მხრიდან პოლიტიკოსების მიმართ დაბალ ნდობას.

45 https://shorturl.at/wyDF9

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 48%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 48%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებენ პროსახელისუფლებო და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ტელეარხები, რომელთა კონტენტი მართალია უნდობლობას იწვევს საზოგადოების თვალში, თუმცა, გავლენას მაინც ახდენს საზოგადოების ნაწილზე. **ექსპერტების შეფასებით, რეგიონის მედიაგარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბოლო წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ მაუწყებელში მენეჯმენტის შეცვლის შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა.[46] არხს დღეს ღიად პროსახელისუფლებო კურსი აქვს.**

“თუ ეთერში მეტნაკლებად ცდილობენ, შენიღბულად დაიცვან ბალანსი ან/და საერთოდ არ გააშუქონ ხელისუფლებისთვის კრიტიკული შინაარსის ახალი ამბები, ამ დროს მათი სოციალური ქსელების გვერდებს რომ გადახედავ, იფიქრებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ”პიარის” დეპარტამენტის გვერდია,” ამბობს ექსპერტი.

მრავალი წელია რეგიონში ყველაზე ეთიკურ და ხარისხიან მასალას საზოგადოებას სთავაზობს ონლაინმედია „ბათუმელები“.

რეგიონში აქტიური არასამთავრობო სექტორი მოქმედებს და პერიოდულად მოსახლეობას მედიაწიგნიერების საკითხებზე უტარებს ტრენინგებს, არსებობს რამდენიმე ფაქტჩეკერი, რომლებიც თბილისში მოქმედ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ და რეგიონში საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესებაში შეაქვთ წვლილი. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არსებული დეზინფორმაციული გამოწვევების ფონზე, მათი ძალისხმევა არასაკმარისია.

▶ საზოგადოების მედეგობა: 54%

საზოგადოების მედეგობის 54%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. იმ ექსპერტების შეფასებით, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა, მოსახლეობას ისეთ სხვადასხვა გამოწვევასთან უწევს გამკლავება, როგორიცაა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში დიდი მოცულობის დეზინფორმაციის, პროპაგანდის და ყალბი ამბების გავრცელება.

მოსახლეობის ნაწილში ულტრაკონსერვატიული განწყობების ჩამოყალიბებაზე ეკლესიაც ახდენს გავლენას, რაც რუსული დეზინფორმაციისა და ანტითურქული ნარატივების გავრცელებით ხდება. მძლავრი პროპაგანდისტული ძალისხმევების მიუხედავად, რეგიონის მოსახლეობას შესწევს უნარი სათანადოდ შეაფასოს არსებული გამოწვევები და გააკეთოს სწორი არჩევანი.

ამის მაგალითად ერთმა ექსპერტმა 2023 წლის მარტში ბათუმში ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქცია ახსენა. მისი თქმით, აქციაში მოქალაქეებთან ერთად საჯარო მოხელეებიც მონაწილეობდნენ.

46 აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლობის დირექტორად გიორგი კოხრეიძე აირჩიეს. სივილ.ჯი, 2019, https://civil.ge/ka/archives/328962

ქვემო ქართლი

რეგიონის ქულა: 45

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 29%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 29%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ინტერვიუების დროს ექსპერტებმა ისაუბრეს თვითმმართველი ორგანოების დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზე და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სუსტ პოლიტიკაზე, მოსახლეობის მედიაწიგნიერების ამაღლებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივების არარსებობაზე. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ადგილობრივი თვითმმართველობა ცენტრალური ხელისუფლების გაგრძელება და მისი პოლიტიკის გამტარებელია. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ **საჯარო ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვნად შეზღუდულია.** ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ინტერვიუზე მიმართვის შემთხვევაშიც კი უთითებენ, რომ წერილობით გაუგზავნონ კითხვები და შემდეგ გადაწყდება უპასუხებენ თუ არა. ერთი ექსპერტის შეფასებით, რეგიონში განსხვავებული მუნიციპალიტეტები და ხელმძღვანელობა არსებობს, რომელთა შორის მთავარი განსხვავება იმაშია, რომ ზოგი პრაქტიკურად არ პასუხებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს, ხოლო ნაწილი შეზღუდულად, ვადების დარღვევით, თუმცა, რაღაც ფორმით აწვდის სამოქალაქო და მედიაორგანიზაციებს ინფორმაციას.

ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივი მედიისა თუ სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ მკვეთრად გაუარესდა ე.წ. „რუსული კანონის“ ინიცირების შემდგომ, რამაც გაზარდა ანტაგონიზმი ხელისუფლებასა და კრიტიკულ ორგანიზაციებს შორის.

ექსპერტები ამბობენ, რომ ხელისუფლების მხრიდან არ გადადგმულა რაიმე ეფექტური ნაბიჯი რეგიონში მედიაწიგნიერების ამაღლების თუ დეზინფორმაციის წინააღმდეგ. **რეგიონში ამ მიმართულებით თუ კი რაიმე ღონისძიებები ტარდება, ეს ძირითადად სამოქალაქო სექტორისა და მედიის ინიციატივით ხდება.**

ხელისუფლების ინტეგრაციის პოლიტიკამ თუ ინიციატივებმა რეგიონში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანული თემის მიმართ კრიტიკა დაიმსახურა. ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ზოგადად **სახელმწიფოს არ გააჩნია სათანადო პოლიტიკა და სტრატეგიული ხედვა როგორ გაუმკლავდეს თემის წინაშე არსებულ გამოწვევებს და როგორ შეძლოს მათი ღირსეული ინტეგრაციის უზრუნველყოფა. თუმცა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მაგალითად მარნეულში, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტებში.**

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 61%

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მედეგობა 61%-ით შეფასდა, რაც საშუალოზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეგიონში პოლიტიკური პროცესი პრაქტიკულად არ არსებობს. ისინი ამბობენ, რომ **ქვეყანაში სუსტი პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა მეტად თვალსაჩინოა ქვემო ქართლის რეგიონში.** ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, ოპოზიციას ოფისებიც კი დაკეტილი აქვს რეგიონში და სავარაუდოდ არჩევნების წინ რამდენიმე თვით ადრე მოხდება მათი ამუშავება. შესაბამისად, არსებულ ვითარებაში, არც პოლარიზაცია შეიმჩნევა ისე როგორც დედაქალაქში. რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება და მოქმედი ოპოზიციური ძალები აქტიურად ეწევიან ერთმანეთის დისკრედიტაციას.

გამონაკლისის სახით ერთმა ექსპერტმა გამოყო რუსთავის მუნიციპალიტეტი, და იქ არსებული დინამიური პროცესი პროოპოზიციურ საკრებულოს დაუკავშირა: “შესაბამისად, ოპოზიციის აქტიურობის ფონზე, მაღალია პოლარიზაციაც.”

ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება მაინც არ გამოირჩევა

ანტიდასავლური პროპაგანდითა თუ ნარატივების გავრცელებით. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც პროდასავლურ პოლიტიკას უჭერენ მხარს და არ ავრცელებენ ანტიდასავლურ პროპაგანდას. თუმცა, რეგიონში არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები მხარს უჭერდნენ ე.წ. "რუსულ კანონს", რომელიც უცხო ქვეყნის დაფინანსებით მოქმედ ორგანიზაციებს, მათ შორის სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებს აგენტებად აცხადებდა.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 47%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 47%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია.

ექსპერტები ადგილობრივი დამოუკიდებელი მედიასაშუალებების საქმიანობას დადებითად აფასებენ, ამბობენ, რომ ისინი დამოუკიდებელი და დაბალანსებული სარედაქციო პოლიტიკითა და მნიშვნელოვანი თემების გაშუქებით გამოირჩევიან.

ადგილობრივი მედიაორგანიზაციების ნაწილი მაქსიმალურად ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას რეგიონში და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების ენაზე. თუმცა, ექსპერტის შეფასებით **ინფორმაციული ვაკუუმი აშკარად შეინიშნება ცალკეული მუნიციპალიტეტის სოფლებში. შესაბამისად, მაღალია უცხო ქვეყნის, მათ შორის რუსული, თურქული თუ აზერბაიჯანული მედიის მოხმარება მსგავს ადგილებში.**

საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს დაბალანსებული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდეს რეგიონში მიმდინარე პროცესების გაშუქების დროს, თუმცა, ამას ხშირად ვერ ახერხებს. ერთი ექსპერტის შეფასებით, ბალანსი თუ ობიექტურობის პრინციპების დარღვევა განსაკუთრებით მაშინ არის თვალსაჩინო, როდესაც მაუწყებელი კრიტიკულ საკითხებს აშუქებს. ექსპერტების განცხადებით **რეგიონში მოქმედი მედიაორგანიზაციების მფლობელობა გამჭვირვალეა და საზოგადოების უმრავლესობისთვის მათ შესახებ ინფორმაცია ცნობილია.**

ერთი ექსპერტის განცხადებით, მედიებთან ერთად, რეგიონში მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები მოსახლეობას მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევენ სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, იმავე ექსპერტის შეფასებით, რეგიონში ბევრი ე.წ. „გონგოებიც" მოქმედებენ, რომლებიც სინამდვილეში სახელისუფლებო ორგანიზაციებს წარმოადგენენ და ხელისუფლების რეალურ მონიტორინგს არ ახორციელებენ.

▶ საზოგადოების მედეგობა: 53%

საზოგადოების მედეგობა 53%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, გარდა მედიასაშუალებებისა, მნიშვნელოვან ზეგავლენას ადგილობრივი ხელისუფლებაც ახდენს. ისინი ამბობენ, რომ **ხელისუფლების მიმართ საზოგადოების წევრებს ერთგვარი „რიდი" აქვთ და იმის მიუხედავად მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკას ეთანხმება თუ არა, მაინც უწევს მას ანგარიშს.** მოსახლეობა აქტიურად არ იყენებს ქვეყნის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. ექსპერტების განცხადებით, მოსახლეობის ნაწილმა შეიძლება არც იცოდეს, რომ მსგავსი უფლებები აქვს, თუმცა, ისინიც ვინც ინფორმირებულები არიან, მაინც თავს იკავებენ საკუთარი უფლებების უფრო აქტიური რეალიზებისგან.

ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო პროპაგანდა მიმართული როგორც მედიის ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეგავლენას, რაც გამოიხატება, მათ შორის, მედიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების თუ უნდობლობის გაზრდით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად, რეგიონში მკვეთრად შეიცვალა რუსეთის მიმართ დამოკიდებულება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინას დაესხა თავს. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთს არ მიიჩნევს მოკავშირედ და საქართველოს მეგობარ ქვეყნად.

ერთმა ექსპრტმა მოსახლეობის გამოწვევებს შორის პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს" აქტიურობა დაასახელა. მან ახსენ რეგიონის ერთ-ერთ სკოლაში დასაქმებული სამოქალაქო

განათლების მასწავლებელი, რომელიც 2021 წლის 5 ივლისს აქციაზე იმყოფებოდა, ჰომოფობიური და მოძალადე ჯგუფების მხარეს. "შესაბამისად, წარმოუდგენელია, რომ მსგავსი კატეგორიის მასწავლებლებმა რაიმე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ახალგაზრდების განათლებისა და ცნობიერების ამაღლებაში," ამბობს ექსპერტი. ექსპერტებს ზოგადად გაუჭირდათ იმის შეფასება „ალტ-ინფოს" რამდენად აქვს გავლენა მოსახლეობაზე.

რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები უმცირესობისათვის სახელმწიფო ენის ცოდნა გამოწვევას წარმოადგენს, როგორც ინტეგრაციის, ასევე მათი მედეგობის ამაღლების კუთხით. მიუხედავად პროგრესისა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, სახელმწიფოს არა აქვს სათანადო პოლიტიკა და საკმარისი პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო ენის სწავლებას მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.

სამეგრელო-ზემო სვანეთი

რეგიონის ქულა: 43

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 31%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 31%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი.

ექსპერტები აკრიტიკებენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობას და ამბობენ, რომ მათი საქმიანობა, ისევე როგორც განცხადებები, ურთიერთობა მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ხშირად, ცენტრალური ხელისუფლების მითითებების შესაბამისად ხდება. ექსპერტები ამბობენ, რომ ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გამჭვირვალეობა გაუარესდა, რაც საჯარო ინფორმაციის შეზღუდვაში, დაგვიანებით ან არასრულად გაცემაში გამოიხატება. ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ინფორმაციის მიღება განსაკუთრებით რთულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ბიუჯეტის ხარჯვას ეხება: "[თვითმმართველობები] არ აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას თუ ვისი დაფინანსებით შენდება/რემონტდება საბავშვო ბაღები, ამბულატორიები, გზები და ასე შემდეგ."

ხელისუფლება თანამშრომლობს ე.წ. მომსახურების მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხოლო ე.წ. "მონიტორინგის" განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებიც ხელისუფლების საქმიანობას ზედამხედველობას უწევენ, თავს შორს იჭერენ და უპირისპირდებიან.

სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, შედარებით დიდი მუნიციპალური ერთეულები (ზუგდიდი და ფოთი) უფრო მეტად ღია არიან, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტები. **იგივე შეიძლება ითქვას წალენჯიხის მუნიციპალიტეტზე**, **სადაც მერი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელია და სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიებისთვის ინფორმაციის მიღება გაცილებით ადვილია.** მიუხედავად ხსენებული გამოწვევებისა, ექსპერტები ამბობენ, რომ რეგიონში დაპირისპირება იშვიათად იღებს რადიკალურ ფორმებს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მხრიდან მედიაწიგნიერების ამაღლების ხელშეწყობის, ანტიდასავლურ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის რაიმე ინიციატივია ექსპერტებს არ გახსენებიათ.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 46%

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 46%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს. ინტერვიუებში ექსპერტები საუბრობენ **მმართველი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლებისა და ცენტრალური გუნდის რიტორიკისა და განწყობების თანხვედრაზე, რაც გულისხმობს ანტიდასავლური განცხადებების გავრცელებას, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიების დისკრედიტაციის მცდელობას და მათ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან გაიგივებას**. ერთ-ერთმა ექსპერტმა გაიხსენა 2022 წელს, საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების კამპანიის „შინ ევროპისკენ" მსვლელობისას მმართველი პარტიის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა კამპანიის ორგანიზებაში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს როგორ უწოდეს „ნაცები". ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ 2023 წელს ე.წ. „რუსული კანონის" წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტის ფონზე, მმართველი პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლების მხრიდან დაპირისპირება გამძაფრდა. ერთ-ერთმა ექსპერტმა მმართველი პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად დეზინფორმაციის გამავრცელებლად „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო" დაასახელა, რომელიც მისი თქმით, "პირდაპირ თუ ირიბად ადგილობრივ ხელისუფლებასთან არიან დაკავშირებული."

ოპოზიციური პარტიების შეფასებისას, ექსპერტები აცხადებენ, რომ არის კვალიფიციური კადრების სიმცირე, რაც განაპირობებს საგნობრივი დისკუსიის ნაკლებობას და შესაბამისად საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ დაბალ ნდობასაც.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 51%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 51%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია.

ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ **ადგილობრივ მედიას მეტი ნდობა აქვს, ვიდრე ეროვნულ არხებს** და ამბობს, რომ ადგილობრივ მედიაში რუსული ნარატივი და დეზინფორმაციის გავრცელება არ შეუმჩნევიათ, განსხვავებით ცენტრალური პროსახელისუფლებო მედიებისგან. ადგილობრივი მედიის გამოწვევების შეფასებისას ექსპერტები კვალიფიციური კადრების ნაკლებობას და ფინანსების სიმწირზეც გაამახვილეს ყურადღება. **ექსპერტმა ახსენეს 2023 წლის დასაწყისში საინფორმაციო ინტერნეტპორტალ „ლაივპრესის“ დახურვა, როგორც მოვლენა, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს რეგიონის საინფორმაციო გარემოზე.**

„გამოცემა აფხაზურადაც თარგმნიდა ახალ ამბებს, კონფლიქტური რეგიონის საზღვრისპირა მოსახლეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოში და რეგიონში მიმდინარე ამბების აფხაზურენოვან მოსახლეობაში გასავრცელებლად“, ამბობს ერთ-ერთი ექსპერტი.

რეგიონში მძლავრი სამოქალაქო სექტორი მოქმედებს, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, პრორუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას.

▶ საზოგადოების მედეგობა: 62%

საზოგადოების მედეგობა 62%-ით შეფასდა, რაც მაღალი საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტების აზრით, ამ კომპონენტის შეფასება განპირობებულია ბოლო პერიოდში ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ საზოგადოების პროტესტით. ექსპერტები აცხადებენ, რომ სამეგრელოში ასეთი ხალხმრავალი არაპოლიტიკური ხასიათის აქცია არ ახსენდებათ. მათი თქმით, აქციების შედეგ პრორუსული აქტორების - „ალტ-ინფოს“ აქტივისტების საქმიანობა სოციალურ ქსელებში მკვეთრად შემცირებულია. ექსპერტების ამბობენ, რომ სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარე ოკუპირებული აფხაზეთი მოსაზღვრე რეგიონია, სადაც თითქმის 30 წელია წარმოდგენილია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია. ამან, მათი აზრით, ხელი შეუწყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების და შესაბამისად მოსახლეობის გაძლიერებასაც.

ექსპერტების შეფასებით, **ასაკოვან მოსახლეობაში დაბალია მედიაწიგნიერების დონე და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარები; განსხვავებული მდგომარობაა ახალგაზრდების შემთხვევაში, რომლებიც გახსნილები არიან სიახლეების მიმართ და ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.**

შიდა ქართლი

რეგიონის ქულა:47

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 36%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 36%-ით შეფასდა. ინტერვიუებში ექსპერტები საუბრობენ ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზე. მათი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა არც საზოგადოების მედიაწიგნიერების დონის ასამაღლებელი და არც დეზინფორმაციასთან გასამკლავებელი ღონისძიებების განხორციელებას უწყობეს ხელს.

ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული საჯარო მოხელეები ცენტრალური პოლიტიკის კარნახით მოქმედებენ, რაც მათი მხრიდან სოციალურ ქსელებში, პირად გვერდებზე გამოქვეყნებული პოლიტიკური შინაარსის სტატუსების გაზიარებაში გამოიხატება. ექსპერტების შეფასებით, უკანასკნელ პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემა ყველა მუნიციპალიტეტში გაუარესებულია, ინფორმაციას არც კანონით დადგენილ 10 დღის ვადაში აწვდიან მომთხოვნ მხარეს, მიწოდებული ინფორმაცია ხშირად არასრულია. "იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფიქრობენ რამდენად აწყობთ ამა თუ იმ ინფორმაციის გაცემა", ამბობს ექსპერტი, თუმცა, იმასაც აღიარებს, რომ საჯარო უწყებები არც ბოლომდე დახურულები არიან და მათთან კომუნიკაცია რაღაც დონეზე შესაძლებელია.

> **ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედიებისთვის მდგომარეობა უფრო რთულად არის, არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მიღება უჭირთ, არამედ საჯარო პირებისგან კომენტარის მიღებაც.**

ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი საჯარო მოხელე ელექტრონულ ფოსტად mail.ru-ს იყენებს, რაც მისი აზრით, გარდა პროფესიული და ეთიკური პრობლემისა, კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს პრობლემას.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 53%

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 53%-ით შეფასდა. ექსპერტები, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა აცხადებენ, რომ **როგორც მმართველი პოლიტიკური გუნდის, ასევე ოპოზიციის ადგილობრივი წარმომადგენლები ცენტრალურ პარტიულ მესიჯებს იმეორებენ, რაც ადგილზე პარტიულ პოლარიზაციას უწყობს ხელს.** ისინი ასევე ამბობენ, რომ პოლარიზაცია ადგილზე მაინც ისე არ იგრძნობა, როგორც დედაქალაქში. ცენტრალური პარტიული მესიჯების გავრცელებასთან ერთად ადგილობრივი პოლიტიკოსები მმართველი პარტიის გუნდიდან ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად პრორუსულ დეზინფორმაციას თუ მადისკრედიტებელ ნარატივებსაც იყენებენ და აზიარებენ სოციალურ ქსელებშიც.

„მმართველი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლების განცხადებები ბოლო პერიოდში ე.წ „რუსული კანონონის", თუ აშშ-ის ელჩის შესახებ და უკრაინის მიმდინარე საომარი მოქმედებების პარალელურად, იმეორებს ცენტრალური ხელისუფლების რიტორიკას, როგორც ისინი ამბობენ მეორე ფრონტის გახსნა უნდათო, ისე ესენი იმეორებენ", ამბობს ექსპერტი.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 52%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 52%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები აცხადებენ, რომ რეგიონში მოსახლეობას მრავალი განსხვავებული მედიასაშუალება აწვდის ინფორმაციას - პროსახელისუფლებო, პროოპოზიციური და დამოუკიდებელი მედიები. **ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პრეფერენციები შიდა ქართლის ადგილობრივ ტელევიზიებში წინასაარჩევნო პერიოდში უფრო არის გამოხატული, ვიდრე სხვა დროს.** 2021 წლიდან რეგიონში მოქმედებს ღიად პრორუსული და ანტიდასავლური ადგილობრივი ტელევიზია ტელეკომპანია „სეზონი ".

მედიასაშუალებების შემოსავლის წყაროები და მფლობელობა მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა და ცნობილია ადგილობრივებისთვის.

რეგიონში აქტიური სამოქალაქო სექტორი ხელს უწყობს მოსახლეობის განვითარებას მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების, მათი განათლებისა და ძირითადი უფლებების დაცვის, ჩართულობის ხელშეწყობისა და მოქალაქეების წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის გზით.

ექსპერტები ამბობენ, რომ სამოქალაქო სექტორი უფრო კარგად იცნობს მოსახლეობის საჭიროებებს, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლება.

▶ საზოგადოების მედეგობა: 53%

საზოგადოების მედეგობა 53%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტების შეფასებით მოსახლეობაში დაბალია ნდობა სამოქალაქო სექტორის მიმართ, რომლის რეპუტაციაზეც გავლენა იქონია 2023 წლის თებერვალ-მარტში ე.წ „რუსული კანონის“ ინიცირებით გამოწვეულმა პროცესებმა. ისინი აღნიშნავენ, რომ მართალია, მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა აღარ მიიღო კანონი, მაგრამ საზოგადოება, ნაწილობრივ ხუმრობით, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს „აგენტებს“ ეძახის.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონთან მოსაზღვრე შიდა ქართლის მოსახლეობა, განსაკუთრებით მოსაზღვრე სოფლების მაცხოვრებელი ადამიანები, ომის შიშით ცხოვრობენ. ექსპერტები აკრიტიკებენ ზოგადად ხელისუფლების პოლიტიკას კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებით, რომელიც მათი აზრით, მოსახლეობაში აჩენს განცდას, რომ ისინი “რუსეთთან პირისპირ მარტონი დარჩნენ”. რეგიონში მოსახლეობის ნაწილი დამოკიდებულია რუსეთთან ვაჭრობაზე, რაც დამატებითი ფაქტორია მათი ნაწილის მხრიდან მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ **ადრე თუ მიგრაცია რეგიონიდან რუსეთში იყო, ახლა ყველა ევროპაში მიდის, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობამ იცის ევროპის სიკეთე, ფინანსური სტაბილურობის და უასფრთხოების გარანტიები და გადამწყვეტ დროს მოკავშირედ დასავლეთს განიხილავს.**

იმერეთი

რეგიონის ქულა: 49

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 33%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 33%-ით შეფასდა, რაც დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტები საუბრობენ ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზე. ისინი ამბობენ, რომ ცენტრალური ხელისუფლების განწყობები გავლენას ახდენს ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებებზე სხვადასხვა საკითხების მიმართ. ერთმა ექსპერტმა მაგალითად მოიყვანა მერიასთან არსებული არაკომერციული არასამეწარმეო უწყების თანამშრომლები, რომლებიც კრიტიკულ მოვლენებთან დაკავშირებით ავრცელებენ ცენტრალურ სამთავრობო ნარატივს, მათ შორის 2023 წლის მარტის (ე.წ. „რუსული კანონის“) მოვლენებზეც. ექსპერტების შეფასებით, ბოლო წლებში რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობის კუთხით მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულია.

ადგილობრივი თვითმმართველობების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არასაკმარისი ან მოძველებულია.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს საჯარო ინფორმაციაზე, განსაკუთრებით საჯარო პირების შემოსავლებისა და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ, რთულად მიუწვდებათ ხელი.[47]

ექსპერტები ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში, **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები საყვედურსაც გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მათი საქმიანობის შეფასებას საჯაროდ აკეთებენ, რადგან არ არიან კმაყოფილები კრიტიკული ანგარიშებით.** ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თავს არიდებს მედიასაშუალებებთან ურთიერთობასაც. მაგალითად, ქუთაისის მერი არ იღებს მონაწილეობას ზოგიერთ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედიასაშუალების გადაცემებში.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული რაიმე ინიციატივის მხარდაჭერის შესახებ არცერთ ექსპერტს არ სმენია, ისევე როგორც ანტიდასავლური პროპაგანდის თუ დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის შესახებ.

ადგილობრივი სასამართლოს შეფასებისას ერთმა ექსპერტმა გაიხსენა ქუთაისში, „თეთრ ხიდზე“, „ევროპა ჩვენი სახლია“-ს წარმომადგენლების მიერ ანტისაოკუპაციო სტიკერების გაკვრა,[48] რაც მერიამ სამართალდარღვევად მიიჩნია და რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ აქტივისტები გააფრთხილა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს იყო მერიის და სასამართლოს მხრიდან „სუბიექტური გადაწყვეტილება.”

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 56%

პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 56%-ით შეფასდა. თუმცა, ექსპერტებმა, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა, უფრო უარყოფითი შეფასებები გააკეთეს. ისინი მიიჩნევენ, მართალია პოლარიზაცია რეგიონში საჯარო სივრცეში ისე მკვეთრად გამოხატული არ არის, როგორც ცენტრალური დონეზე, მაგრამ მაინც აისახება ადგილობრივი პოლიტიკოსების საქმიანობაზე. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, **ბოლო წლებში, საკრებულოებში ოპოზიციური ფრაქციების მიერ ინიცირებული არცერთი ინიციატივა არ ყოფილა წარმატებული.** „ეს არის ერთ-ერთი განმაპირობებელი ოპოზიციური ფრაქციების მხრიდან საკრებულოს შეხვედრებში დაბალი მონაწილეობის,“ ამბობს ექსპერტი. ექსპერტმა გაიხსენა “საერთაშორისო გამჭვირვალობა

47 აი, ფაქტი https://www.facebook.com/ifact.ge/posts/pfbid036fQMiuGoGHCF81e6RrCoJ8guH8JEzKbSxEaFTS9PnyqaSYHTS6vFDvHAB5zCucjel

48 რადიო თავისუფლება, “სასამართლომ ანტისაოკუპაციო სტიკერების გაკვრისთვის აქტივისტები გააფრთხილა” 17 აგვისტო, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/31992247.html

საქართველოს" 2020 წლის ანგარიში,[49] რომლის თანახმადაც, ოპოზიციური ფრაქციის მხრიდან დაყენებული საკითხები საკრებულოს არც განუხილავს.

მმართველი პარტიის ადგილობრივი პოლიტიკოსები არ ერიდებიან მედიის და ჟურნალისტების დისკრედიტაციასაც. „თქვენ ოპოზიციის ჩანერგილები ხართ, ასეც მოუმართავთ," ამბობს ექსპერტი.

მისივე შეაფსებით, დეზინფორმაციას ავრცელებენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკოსებიც.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 55%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 55%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები, ამბობენ, რომ იმერეთის რეგიონში ადგილობრივ მედიებს შორის არიან როგორც ხელისუფლების და ოპოზიციისადმი ლოიალურად განწყობილი, ასევე დამოუკიდებული მედიასაშუალებები. თუმცა, განსხვავებით ცენტრალური მედიებისგან, ერთი შეხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ლოიალური მედიების მასალები შედარებით უფრო მრავალფეროვანია მოწვეული სტუმრების თვალსაზრისით. ამის მაგალითად ერთ-ერთი კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს მოჰყავს ის ფაქტი, რომ ასეთი პროსახელისუფლებო მედიასაშუალება მათ მიერ გავრცელებულ მასალებსაც აშუქებს და ეთერშიც იწვევს მის ორგანიზაციას.

ადგილობრივი მედიების გამოწვევებს შორის ექსპერტები ასახელებენ ფინანსური რესურსების სიმწირეს, ჟურნალისტების უსაფრთხოებას და საზოგადოებაში გავრცელებულ უნდობ-ლობას მედიის და ჟურნალისტების მიმართ. **„ჟურნალისტები იღებენ ღია მუქა-რებსაც," ამბობს ადგილობრივი მედიის წარმომადგენელი. ეს, მისი აზრით, განპი-რობებულია ზოგადად ქვეყანაში მედიის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიით.**

ექსპერტები ადგილობრივი არასამთავრობოების წარმომადგენლების მუშაობით ძირითადად კმაყოფილნი არიან, თუმცა, ამბობენ, რომ ხშირად მათი აქტივობები საზოგადოებამდე ვერ მიდის. ერთ-ერთმა ექსპერტმა არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან კომუნიკაციის სისუსტეზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ **არასამთავრობოებს უჭირთ თავიანთი სათქმელის ადამიანებამდე მიტანა, რად-გან უმრავლესობას არ აქვს ხალხთან ურთიერთობისთვის საჭირო საკომუნიკაციო სტრატეგია.**

▶ საზოგადოების მედეგობა: 64%

საზოგადოების მედეგობა 64%-ით შეფასდა, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. ექსპერტები ამბობენ, რომ **ადამიანები ინტერესდებიან სოციალური და პოლიტიკური საკითხებით, რასაც ბოლო წლის განმავლობაში განვითა-რებული მოვლენებიც ადასტურებს.**

„...როგორც კი დადგა 12-პუნქტიანი გეგმის [ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად] საკითხი, გამოჩნდა, რომ ეს რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია," ამბობს ექსპერტი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად რეგიონის მოსახლეობის ზოგადად დადებითი განწყობისა დასავლეთის დემოკრატიების მიმართ, ის მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. სხვა რეგიონების მსგავსად, იმერეთის მაღალმთიან სოფლებში და ცენტრალური ქალაქებიდან მოშორებით, სადაც ადამიანებისთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო არის ტელევიზია და სადაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინტერნეტზე, მდგომარეობა განსხავებულია. ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ამას ემატება მძიმე სოციალური ფონი, რასაც საზოგადოების ყურადღება სოციალური საკითხებზე გადააქვს და რა დროსაც სხვა მნიშვნელოვანი თემები შეიძლება მათი ინტერესის მიღმა დარჩეს.

49 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, "ქუთაისის მე-6 მოწვევის საკრებულოს საქმიანობის შეფასება", 2019, https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://transparency.ge/sites/default/files/kutaisis_sakrebulos_sakmianobis_angarishi_2019_celi.pdf

ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ საზოგადოების მედიაწიგნიერების დაბალი უნარები, ისტორიული მეხსიერება და ანტიდასავლური პროპაგანდის ნაკადი გავლენას ახდენს საზოგადოების ნაწილის განწყობებზე. მაგალითად, 2022 წლის ივნისში არასამთავრობო ორგანიზაციებს დაგეგმილი ჰქონდათ შეხვედრები ქუთაისში, სამტრედიაში და ხონში, სადაც მოსახლეობასთან ევროპასა და ევროპულ ღირებულებებზე უნდა ესაუბრათ, რამდენიმე მუნიციპალიტეტში წინააღმდეგობა შეხვდათ მოსახლეობისგან და ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული ადამიანებისგანაც. იმავე ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსხვავებული მდგომარეობა იყო 2023 წლის მარტში, როცა ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებზე ქუთაისში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად გამოვიდა მოსახლეობაც.

სამცხე-ჯავახეთი

რეგიონის ქულა: 52

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 40%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 40%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ინტერვიუების დროს ექსპერტებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობების დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზე, დეზინფორმაციის წინააღმდეგ თუ მოსახლეობის მედიაწიგნიერების ასამაღლებლად გაწეული ძალისხმევის ნაკლებობაზე. ექსპერტები მიიჩევენ, რომ **ადგილობრივ თვითმმართველობებს საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკა კი არ აქვთ, არამედ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღმასრულებელს/გამტარს წარმოადგენენ.**

რეგიონის მუნიციპალიტეტების საქმიანობის გამჭვირვალობა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას პირდაპირ უთხრეს, რომ „თქვენ (საჯარო) ინფორმაციას არ მოგაწოდებთ“. პრობლემებია საჯარო ინფორმაციის მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისითაც. რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტს საერთოდ არ აქვს ელექტრონული გვერდი. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა სერიოზულ პრობლემად რჩება მედიასაშუალებებისთვის, განსაკუთრებით როცა საკითხი ე.წ. კრიტიკულ თემებს შეეხება.

ადგილობრივი ხელისუფლება პასიურობს დეზინფორმაციის წინააღმდეგ საქმიანობის ნაწილშიც. **არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ სოციალურ ქსელებში საკუთარ გვერდებზე სხვა პირების მიერ გავრცელებული ანტიდასავლური განცხადებები თუ ინფორმაციის გაზიარება ხდება.** ანტიდასავლური კამპანიისათვის სახელმწიფო უწყებების ოფიციალური გვერდების გამოყენება არ ხდება.

ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც უმრავლესობას ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა წარმოადგენს, თანამდებობებსაც ძირითადად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები იკავებენ. რაც შეეხება შერეულ რეგიონებს, მართალია უმცირესობა დასაქმებულია, თუმცა, ხელისუფლება ნაკლებად ახალისებს „ახალ სახეებს“ და ძირითადად თანამდებობაზე ძველი კადრები არიან.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 60%

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მედეგობა 60%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებლს წარმოადგენს. ექსპერტები აცხადებენ, რომ **სამცხე-ჯავახეთის რეგიონი პოლიტიკური აქტიურობით არ გამოირჩევა, განსაკუთრებით თვალში საცემია ბოლო წლებში ოპოზიციური პარტიების პასიურობა.** როგორც წესი, ოპოზიციის გააქტიურება წინასაარჩევნო პერიოდში ხდება და ისიც მხოლოდ რამდენიმე თვით.

სუსტი ოპოზიციის ფონზე, დაპირისპირების ხარისხი პარტიებს შორის შედარებით დაბალია და პოლარიზაციაც დედაქალაქთან შედარებით ნაკლებად შესამჩნევი. თუმცა, ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, **მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთის დისკრედიტაციას და ერთმანეთის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებას არ ერიდებიან.** ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები მედიისა და არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას არ ერიდებიან, რაც ძირითადად ასეთი შინაარსის შემცველი მასალის სოციალურ ქსელში გავრცელებით გამოიხატება. ე.წ. “რუსული კანონის” განხილვისას მიმდინარე პროტესტის და აქციების ფონზე ისინი ავრცელებდნენ ე.წ აგენტების სურათებს დისკრედიტაციის მიზნით. სავარაუდოდ, მსგავსი გადაწყვეტილება ცენტრალური ხელისუფლების მითითებით ხორციელდებოდა. ექსპერტის განცხადებით მმართველი პარტიის წარმომადგენლების ანტიდასავლური პროპაგანდის მხარდაჭერის ფაქტებს ადგილი სოციალურ მედიაში აქვს, ძირითადად კომენტარებისა თუ მოწონების მხრივ.

ანტიდასავლური კამპანიის პროპაგანდის გავრცელება რეგიონში მნიშვნელოვნად „კონსერვატიული პარტიის/ალტ-ინფოს“ მიერ ხორციელდება.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 58%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 58%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა აღნიშნავენ, რომ რეგიონში, ცენტრალურ მედიებში არსებული მწვავე პოლარიზაციისა და დაპირისპირების-აგან განსხვავებით, შესამჩნევად დაბალია მსგავსი დაპირისპირებები. ადგილობრივი მედიასაშუალებები ცდილობენ აქტიურად გააშუქონ სამცხე ჯავახეთში მიმდინარე ამბები და საზოგადოებაში არსებული პრობლემატური საკითხები მაქსიმალურად გაასაჯაროონ.

ადგილობრივი ტელევიზიების უმრავლესობა არ არის პარტიული, რაც შესაბამისად მათ სარედაქციო პოლიტიკაზეც აისახება. “არ ერიდებიან მწვავე საკითხების გაშუქებას, თუმცა არ შეიმჩნევა დაპირისპირების ისეთი ფონი, როგორც ცენტრალურ მედიებშია,” ამბობს ექსპერტი.

რეგიონში დამოუკიდებელი მედიები თავიანთი პროდასავლური სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევიან და შესაძლებლობის ფარგლებში აქტიურად ავრცელებენ ინფორმაციას ევროკავშირთან ინტეგრაციის სიკეთეებზე. აღნიშნული მედიები ხშირად უპირისპირდებიან ანტიდასავლურ ნარატივს და აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ერთ-ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის შეფასებით, ადგილობრივი მედია რეგიონში გამოირჩევა თავისი ნეიტრალური პოზიციით, შესაბამისად მოსახლეობის მხრიდან ნდობა მათ მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე ცენტრალურ მედიების მიმართ. **ნდობის მიუხედავად, მათი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე არ არის ისეთი მაღალი, როგორც სოციალური ქსელების და იგივე ცენტრალური მედიების.**

ექსპერტების შეფასებით, მედიების მფლობელობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და საზოგადოება ინფორმირებულია მათ შესახებ. ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს რეგიონში მიმდინარე პროცესები ნეიტრალურად გააშუქოს, თუმცა, ეს ხშირად არ გამოსდის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეთნიკური უმცირესობის ენაზე გავრცელებულ პროგრამას მცირე მაყურებელი ჰყავს. შესაბამისად, **როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზეც საზოგადოებრივ მაუწყებელს რეგიონში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზეგავლენა არა აქვს.**

ექსპერტები საუბრობენ ასევე დამოუკიდებე-ლი ადგილობრივი მედიების ფინანსური გამოწვევებზე, რაც, მათი თქმით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაუარესდა. გარდა ფინანსური გამოწვევებისა, ექსპერტებმა აღნიშნეს ასევე ხელისუფლების მხრიდან დამოუკიდებელ მედიებზე გავლენის მოხდენის მცდელობები, რაც, მათი თქმით წარმატებას ვერ აღწევს.

ადგილობრივი მედიები ცდილობენ სხვა-დასხვა ენაზე გაავრცელონ ინფორმაცია, ითვალისწინებენ რა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოწვევებს. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ინფორმირებულია რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. ექსპერტის ამბობს, რომ ვინაიდან არ არსებობს რეგიონში მოქმედი ყველა მედიის მონიტორინგის შესაძლებლობა, მისი შეფასებები უმეტესად პირად დაკვირვებებსა და პროფესიული წრეების განცხადებებს ეყრდნობა.

▶ საზოგადოების მედეგობა: 55%

მოსახლეობის მედეგობა დეზინფორმაციის მიმართ 55%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ინტერვიუებში ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ გარემოებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის დამოკიდებულებებსა და განწყობებზე. მაგალითად, ექსპერტებმა ახსენეს რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკური პროცესის ნაკლებობა, რაც მათი თქმით განაპირობებს ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის შეუთავსებლობას მოსახლეობის მოთხოვნებისა და

საჭიროებების მიმართ. **ექსპერტები მოსახლეობის დამოკიდებულებას ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ „რიდს“ უწოდებენ და ამბობენ, რომ მართალია ხელისუფლება არ სარგებლობს მაღალი ნდობით, მოსახლეობა ცდილობს ანგარიში გაუწიოს მას.** ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ მსგავსი დამოკიდებულება განაპირობებს მოქალაქის მხრიდან საკუთარი უფლებების ნაკლებად რეალიზებას, ცდილობს რა არ შექმნას შთაბეჭდილება, რომ საკუთარი ქმედებით ხელისუფლების წინააღმდეგ მიდის.

მოსახლეობა აქტიურად ეცნობა ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თუმცა, ექსპერტის შეფასებით, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებას უფრო ენდობა ვიდრე ადგილობრივ მედიასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ექსპერტებმა ცალკე აღნიშნეს რუსეთის ფაქტორი, რომელიც, მათი თქმით, ზეგავლენას ახდენს რეგიონში მაცხოვრებელ ადამიანებზე. კერძოდ, მძიმე ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ადგილობრივ მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით ეთნიკური თემის წარმომადგენლებს, ხშირად უწევთ ფინანსური შემოსავლების წყაროების მოძიება ქვეყნის გარეთ, უმეტესწილად კი რუსეთში. აღნიშნული გარემოება, ექსპერტების შეფასებით, განაპირობებს რუსეთის მიმართ შედარებით “რბილ” დამოკიდებულებას. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ბოლო პერიოდში, ყარაბაღსა თუ უკრაინაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა და რუსეთის უარყოფითი როლის გამოკვეთამ მნიშვნელოვნად გააძლიერა რუსეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. **ზოგადად, მოსახლეობა აცნობიერებს თუ რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ევროკავშირს მოსახლეობისათვის და ეს შეხედულება დღითი დღე ძლიერდება.** ბევრმა დაიწყო უკვე უფრო აქტიურად ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობა, მათ შორის განათლების მიღება თუ სამუშაოდ გამგზავრება.

სახელმწიფო ენის ცოდნა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ეთნიკური უმცირესობისათვის. ექსპერტების შეფასებით, **თვალშისაცემია ის დიდი ინტერესი და პროგრესი, რომელიც ახალგაზრდებს აქვთ ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან არ არის მიღებული ეფექტური ზომები.** ექსპერტები მიიჩნევენ, სახელმწიფო ენის ცოდნის ნაკლებობა განაპირობებს რუსულენოვანი მედიაზე დამოკიდებულებასაც. შესაბამისად, პროპაგანდისტული რუსული მედია შესაძლოა ზეგავლენას ახდენდეს საზოგადოების ნაწილში დეზინფორმაციის გავრცელებაზე.

გურია

რეგიონის ქულა: 52

▶ ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 39%

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 39%-ით შეფასდა, რაც საშუალოზე ოდნავ დაბალი მაჩვენებელია. ერთი ექსპერტის შეფასებით, ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობის საკითხი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სამოქალაქო სექტორისა და მედიის მუშაობისთვის. თუმცა, აღინიშნა, რომ **ცალკეულ შემთხვევაში, მაგალითად ოზურგეთში, საკრებულო მერიისგან განსხვავებით შედარებით უფრო გამჭვირვალეა.** ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ ხელისუფლების მიერ ჩატარებული ტენდერები, ბიუჯეტის განხილვის და დამტკიცების პროცედურები გამჭვირვალე არ არის და ხშირად ისმის კითხვები. მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციებს განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ, თუმცა, პროცესი ინკლუზიური არ არის და ხელისუფლება პრაქტიკურად არ ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების წინადადებებს. მედიისა და სამოქალაქო სექტორისაგან განსხვავებით მოსახლეობას უფრო უჭირს ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჯარო ინფორმაციის მიღება. ექსპერტის აზრით, აღნიშნული პრობლემა საჯარო ცნობადობაზეც არის დამოკიდებული. ერთი ექსპერტის დაკვირვებით, **ადგილობრივი ხელისუფლება მედიასთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად ურთიერთობს, კერძოდ, შესაძლოა უარი თქვას გადაცემებში მონაწილეობაზე, კომენტარის გაკეთებაზე და ა.შ.** ერთი ექსპერტის განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება არ ერიდება ცალკეული დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის დისკრედიტაციასაც.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არ შეიმჩნევა რაიმე ხელშესახები და ეფექტური ქმედებები საზოგადოების მედიაწიგნიერების გაზრდისა თუ რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ დაპირისპირების კუთხით. ამ მიმართულებით თუკი რაიმე აქტივობები ხორციელდება, ძირითად სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლების მიერ არის ინიცირებული.

▶ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 59%

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა 59%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტების შეფასებით, პოლიტიკური გარემო რეგიონში პოლარიზებულია, განსაკუთრებით იქ, სადაც ოპოზიციური პარტიის წევრები საკრებულოში არიან წარმოდგენილი. **ოპოზიციის აქტიურობა რეგიონში შესამჩნევია. შესაბამისად, ხელისუფლებისათვის კრიტიკული საკითხებისა და თემების განხილვა დაპირისპირებას იწვევს.** ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არ ერიდებიან ერთმანეთის მიმართ დეზინფორმაციულ თუ დისკრედიტაციულ განცხადებებს; ხშირია სიტყვიერი შეურაცხყოფისა, ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევებიც, განსაკუთრებით ოზურგეთის საკრებულოში.

ექსპერტების განცხადებით, **ადგილობრივი მმართველი პარტიის წარმომადგენლები ჩართულები არიან ანტიდასავლურ კამპანიაში და იმეორებენ ცენტრალური ხელისუფლების მესიჯებს.** განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ე.წ. "რუსული კანონის" განხილვისა და პროტესტის დროს მმართველი პარტიის წარმომადგენელთა განცხადებები, როგორებიცაა "ჩვენ ჩვენი სუვერენიტეტი უნდა დავიცვათ", ან "მსგავს კანონის მიღებას ევროპასა და კანადაში გეგმავენ".

ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება აცნობიერებს იმ სარგებელს, რომელსაც ქვეყანა და რეგიონი იღებს დასავლეთისაგან, თუმცა, პარტიული დისციპლინა რეგიონის ხელისუფლებას აიძულებს მმართველი პარტიის ძირითად ნარატივს დაემორჩილოს.

ექსპერტების შეფასებით ოპოზიციის წარმომადგენლები არ არიან ანტიდასავლურ კამპანიაში ჩართულები.

რეგიონში „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოსთან" დაკავშირებული პირები აქტიურად ავრცელებენ ანტიდასავლურ პროპაგანდას,

მართავენ შეხვედრებს და სოციალურ ქსელშიც კოორდინირებულად ავრცელებენ დეზინფორმაციულ ნარატივებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2022 წელს პარტიის წარმომადგენლობის გახსნამ რეგიონის მუნიციპალიტეტებში კონფლიქტური გარემო შექმნა. „ალტ-ინფო“ არ ერიდებოდა მედიისა თუ სამოქალაქო სექტორის წევრების შეურაცხყოფას.

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 55%

საინფორმაციო გარემოს მედეგობა 55%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. რამდენიმე ადგილობრივი მედიასაშუალება აქტიურად აშუქებს რეგიონის საკითხებს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **მედიების უმრავლესობა დამოუკიდებელია, ზოგი კრიტიკული**. მათ პროსამთავრობო მედიიდან მხოლოდ ერთი ინტერნეტგამოცემა ახსენდებათ. ექსპერტების შეფასებით, დამოუკიდებელი მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა პროდასავლურია, მიმართულია საზოგადოების ცნობიერების გაზრდის, მედიაწიგნიერებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ მედეგობის ამაღლებისკენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ნდობა და მისი ზეგავლენა მოსახლეობაზე ძალიან დაბალია. ექსპერტის განცხადებით, **საზოგადოებრივ მაუწყებელს ადგილობრივი კორესპონდენტიც კი არ ჰყავს და გურიის რეგიონს ფოთიდან ფარავს.** აღნიშნული კი მიუთითებს, თუ რამდენად პრიორიტეტულია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რეგიონი და როგორ ახორციელებს რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას.

ინფორმაცია მედიასაშუალებების მფლობელების შესახებ საზოგადოების უმრავლესობისთვის ცნობილია.

ექსპერტები ადგილობრივი მედიაგარემოს გამოწვევებს შორის ასახელებენ **ხელისუფლების მიერ მედიის მიმართ უარყოფითი აზრის დამკვიდრების მცდელობას, რაც აისახება საზოგადოების ნაწილის განწყობებზე და უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდა კადრების მხრიდან პროფესიის მიმართ დამოკიდებულებასა და ინტერესზე.**

ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა ასევე პრორუსული მედიასაშუალება და პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“.

საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსახლეობის მედიაწიგნიერების ამაღლებაზე რეგიონში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს.

▶ საზოგადოების მედეგობა: 66%

საზოგადოების მედეგობა 66%-ით შეფასდა, რაც საშუალოზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **საზოგადოების დიდი ნაწილი თავს იკავებს საკუთარი შეხედულების საჯაროდ გამოხატვისაგან, განსაკუთრებით, თუ საკითხი ხელისუფლების კრიტიკას შეეხება.** ექსპერტების აზრით, ეს მიუთითებს მოსახლეობის მცდელობაზე თავიდან აირიდოს საჯარო უწყებებში დასაქმებულები ახლობლების მხრიდან საჯაროდ გამოთქმული კრიტიკული შეხედულებების გამო ზეწოლა**.**

ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ წლების განმავლობაში მედიის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანია რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობაზეც ახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას. ამის მაგალითად ექსპერტმა ე.წ. “რუსული კანონის” ინიცირება და თანმდევი დისკრედიტაციული კამპანია აღნიშნა. **მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების თავდასხმის ობიექტი ცენტრალური მედიებია, ზოგადად მედია, როგორც ინსტიტუტი და მისი რეპუტაცია დაზიანდა.** ექსპერტის განცხადებით, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებმა გასართობ კულტურულ გადაცემაში უარი მხოლოდ იმიტომ განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამას ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედია ამზადებდა.

საზოგადოების მედიაწიგნიერების დონე ექსპერტების აზრით მაღალი არ არის. აღნიშნული მდგომარეობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის დეზინფორმაციის გავრცელებისთვის და შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის, მათ შორის ოკუპანტი ქვეყნისა თუ სტრატეგიული მოკავშირის მიმართ. ამის მიუხედავად, ერთი ექსპერტის განცხადებით, **საზოგადოებაში არის მოთხოვნა კრიტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებასთან დაკავშირებით.**

კახეთი

რეგიონის ქულა: 54

▶ **ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა: 38%**

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა 38%-ით შეფასდა, რაც საშუალოზე ოდნავ დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტების უმრავლესობა, რომლებთანაც ინტერვიუები ჩატარდა, მიიჩნევს, რომ სერიოზული გამოწვევები არსებობს ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის კუთხით. იკვეთება როგორც ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების, ასევე საჯარო ინფორმაციის მიწოდების პრობლემები. სერიოზული გამოწვევაა საჯარო ინფორმაციის მიღება ჟურნალისტებისთვისაც. ერთ-ერთმა ექსპერტმა გაიხსენა, რომ "საინფორმაციო ცენტრების ქსელმა" 2022-2023 წლებში 100-ზე მეტი ადმინისტრაციული საჩივარი მოამზადა და 18 სარჩელი შეიტანა სასამართლოში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სირთულეებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესები ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაწყდა, სასურველი ინფორმაცია ვერ მიიღეს. „სამთავრობო უწყებები აღარ გვაძლევენ ისეთ ინფორმაციასაც კი, რომლის საჯაროობაც საერთაშორისო კონვენციებით არის სავალდებულო" ამბობს ექსპერტი.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ **ადგილობრივი თვითმმართველობები რეგიონში არათუ რაიმე აქტივობებს ახორციელებენ დეზინფორმაციის წინააღმდეგ, ხშირად თავადაც არიან მსგავსი ინფორმაციის გამავრცელებლები.** ერთმა ექსპერტმა ამის მაგალითად მოიყვანა საჯარო მოხელეების მხრიდან დეზინფორმაციული და ანტიდასავლური მოსაზრებების გავრცელება სოციალური მედიის საკუთარ გვერდებზე. „ეს ზედაპირზე დევს და ყველა ვხედავდით, პირად გვერდებზე როგორ იყვნენ დარაზმულები [საჯარო მოხელეები] და საკუთარი გვერდების საშუალებით ავრცელებდნენ [ანტიდასავლურ პოსტებს]," ამბობს ექსპერტი 2023 წლის ე.წ. "რუსული კანონის" განხილვასთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

ადგილობრივი ხელისუფლება „თანამშრომლობს მხოლოდ ე.წ. „გონგო" ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკას ატარებენ, და არა იმ სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელისუფლების მონიტორინგს ახორციელებენ.

▶ **პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა: 74%**

პოლიტიკოსებისა და პარტიების მედეგობას სხვა კატეგორიებთან შედარებით მაღალი შეფასება აქვს - 74%, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. თუმცა, ექსპერტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა უფრო კრიტიკული შეფასება მოგვცა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **კახეთის რეგიონში პოლიტიკური ცხოვრება დედაქალაქთან შედარებით ნაკლებად აქტიურია.** ოპოზიციური პარტიები ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდებიან და ცდილობენ მოსახლეობასთან კომუნიკაციას. ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ოპოზიციას ოფისებიც კი დაკეტილი აქვს არასაარჩევნო პერიოდში. ექსპერტის შეფასებით, მოსახლეობასთან კომუნიკაციის ნაკლებობა ხელს უშლის ოპოზიციურ პარტიების წარმატებას.

ექსპერტების ნაწილის აზრით, პარტიული პოლარიზაცია კახეთის რეგიონშიც იკვეთება.

> ასე **შეაჯამა ერთ-ერთმა ექსპერტმა თელავის საკრებულოს მუშაობა: "ოცნების დეპუტატების მეტი ნაწილი არ კითხულობს ბიუჯეტს, იმიტომ რომ იცის, რომ მხარი უნდა დაუჭიროს და ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობა არ კითხულობს, იმიტომ რომ იცის, რომ მხარი არ უნდა დაუჭიროს".**

ექსპერტების თქმით, **ადგილობრივი პოლიტიკოსები მმართველი პარტიის გუნდიდან არ ერიდებიან ანტიდასავლური განცხადებების გაკეთებას და რიგ შემთხვევაში სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობას**. ერთ-ერთმა ექსპერტმა გაიხსენა თელავში, სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებული „გადადგი ნაბიჯი ევროპისკენ" კამპანიის ფარგლებში საზოგადოებისთვის ცნობადი სახეების არშეშვება ერეკლეს მუზეუმში თელავის საჯარო მოხელის და „ქართული ოცნების" ქალთა ფრთის ნაწილის წარმომადგენლის და საკრებულოს რამდენიმე წევრის მიერ. "ეს ჩემთვის იყო სიგნალი იმისა, რომ კახეთში თავად საჯარო მოხელეები უწყობენ ხელს ევროპული კურსის დისკრედიტაციას," ამბობს ექსპერტი.

„კონსერტავიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, რომლის ოფისებიც კახეთის რამდენიმე ქალაქში გაიხსნა უკვე მეორე წელია, იყო ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ გამართული აქციის ორგანიზატორი 2023 წლის იანვარში, რა დროსაც მას ლექციის ჩატარების საშუალება არ მიეცა.[50] ექსპერტები ამბობენ, რომ **„კონსერვატიულ მოძრაობას“ უფრო მეტი წარმატება აქვს თელავის მუნიციპალიტეტში, რაც განპირობებულია პარტიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ადგილობრივის პიროვნული გავლენით.**

▶ საინფორმაციო გარემოს მედეგობა: 55%

საინფორმაციო გარემოს მედეგობის კომპონენტი 55%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტებთან ინტერვიუებმა გამოავლინა მთელი რიგი გამოწვევები, რაც კახეთის რეგიონში აქვს მედიას. **ექსპერტები გამოყოფენ დაფინანსების სიმწირეს, რაც ხელს უშლის მედიას, შეინარჩუნოს კადრები და განვითარდეს**. ერთმა ექსპერტმა ახსენა, რომ 2023 წლის დასაწყისში ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელევიზიამ ფინანსების სიმწირის გამო საინფორმაციო გადაცემა დახურა. ექსპერტების ნაწილის თქმით, ფინანსური გამოწვევები მედიასაშუალებებს მეტად დამოკიდებულს ხდის საბიუჯეტო შემოსავლებზე, რაც რიგ შემთხვევაში, შეიძლება გავლენას ახდენდეს მათი მხრიდან მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებაზე.

ამის მიუხედავად, ზოგადად ადგილობრივი მედიასაშუალებების მუშაობას ექსპერტები დადებითად აფასებენ. **“ცენტრალური მედიებისგან განსხვავებით, რეგიონული მედიები არიან უფრო ობიექტურები,” ამბობს ერთი ექსპერტი.**

ერთ-ერთმა ექსპერტმა ისაუბრა ანალიტიკური და საგამოძიებო შინაარსის მასალების სიმწირეზეც, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა სხვადასხვა დეზინფორმაციული შინაარსის მასალების საპირწონედ.

კახეთის არაქართულენოვან მოსახლეობას მათთვის გასაგებ ენაზე შეზღუდულად მიუწვდება ხელი გადამოწმებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციაზე რეგიონში თუ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მუშაობს რეგიონში დემოკრატიზაციის საკითხებზე. ერთმა ექსპერტმა აღნიშნა ასევე ფაქტჩეკერების მნიშვნელობა საინფორმაციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არასამთავრობო სექტორს ბევრი სამუშაო აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ საკუთარი ხმა უკეთ მიაწვდინოს ადგილობრივ საზოგადოებას.

▶ საზოგადოების მედეგობა: 60%

საზოგადოების მედეგობა 60%-ით შეფასდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. ექსპერტები მიიჩნევენ, მოსახლეობა მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. მათი თქმით, **საზოგადოების წევრებს არათანაბრად მიუწვდებათ ხელი მედიაწიგნიერების უნარების განვითარების შესაძლებლობებზე.** ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით, ასაკოვან ადამიანებს გამოყოფენ და ამბობენ, რომ რეგიონში ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის არ ხდება. ამის საპირისპიროდ, ექსპერტების ამბობენ, რომ ახალგაზრდები უკეთ არიან მომზადებულები თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად. ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საზოგადოების მხრიდან დაბალია ადგილობრივი მედიის მიმართ ნდობა, რადგან რეგიონის მედიები სათანადოდ ვერ პასუხობენ ადამიანების დღის წესრიგს, მათ საჭიროებებს და ინტერესებს.

ერთმა ექსპერტმა ახსენა რეგიონის მოსახლეობის ნაწილის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე, თუმცა, აღნიშნა, რომ ეს არ განსაზღვრავს მოსახლეობის არჩევანს რუსეთსა და დასავლეთს შორის და რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მომავალი ევროპასთან კავშირში წარმოუდგენია. ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა ახსენა ერთ-ერთი დეზინფორმაციული ნარატივი: „ევროპას არ უნდა თქვენი პროდუქცია, ევროპას თავისი ჰყოფნის.“ ექსპერტი მიიჩნევს, რომ **ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ სათანადო კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან არ უწარმოებიათ.**

ქართული ენის ცოდნა გამოწვევას წარმოადგენს რეგიონის არაქართულენოვანი მოსახლეობის ნაწილისთვის, რაც ხელს უშლის მათ მიიღონ ფაქტებზე დაფუძნებული, ხარისხიანი ინფორმაცია როგორც რეგიონთან დაკავშირებით, ასევე ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

---

50 რადიო თავისუფლება, “”პოლიციას არც უფიქრია, დარბაზში შევეყვანე” - ლევან ბერძენიშვილი ყვარელში ლექციაზე არ შეუშვეს”, 15 იანვარი, 2023, https://www.radiotavisupleba.ge/a/32224326.html

რეკომენდაციები

ადგილობრივი ხელისუფლება

- ცენტრალური ხელისუფლების საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია განპირობებული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა გულისხმობდეს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას ამ პროცესში.

- ადგილობრივმა ხელისუფლებამ პრიორიტეტად უნდა აქციოს რეგიონის მოსახლეობის ფართო ფენების მედიაწიგნიერების დონის ამაღლება და შესაბამისი მექანიზმები დანერგოს ამ მიზნის განსახორციელებლად, მაგალითად, წაახალისოს მოსახლეობის მხრიდან ისეთი ინიციატივების განხორციელება, რაც გააძლიერებს რეგიონში კრიტიკულ, მედიაწიგნიერ საზოგადოებას.

- ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის შესახებ გამჭვირვალობის გაზრდა, ითანამშრომლონ მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები

- მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა რეგიონში უნდა უზრუნველყონ ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების წარმართვა, ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებით.

- ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები უნდა გააქტიურდნენ რეგიონის მოსახლეობასთან კომუნიკაციის კუთხით წინასაარჩევნო პერიოდის მიღმა.

- პოლიტიკურმა პარტიებმა და პოლიტიკოსებმა თავიანთი ქმედებით დადებითი როლი უნდა ითამაშონ არსებული პოლარიზაციის შესამცირებლად.

საინფორმაციო გარემო

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარება რეგიონებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ადგილობრივ მედიას მეტი შესაძლებლობა აქვს ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, სწორი და ხარისხიანი ინფორმაციის შექმნა-გავრცელების საკითხებში, ასევე აქვს შედარებით მეტი ნდობა რეგიონის მოასახლეობის მხრიდან.

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გააძლიეროს რეგიონში მიმდინარე პროცესების აქტიური გაშუქება, უზრუნველყოს მუნიპიცალიტეტებში მიმდინარე საკითხებზე სანდო და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების ფართო წრისათვის.

- აუცილებელია რეგიონში მოქმედი დამოუკიდებელი ადგილობრივი საინფორმაციო მედიასაშუალებების ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება.

- მნიშვნელოვანია, რომ იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი საინფორმაციო მედიასაშუალებები არ არსებობს, ხელი შეეწყოს ადგილობრივი მედიების შექმნას ან არსებული რეგიონული მედიასაშუალებების გაძლიერებას, რომლებიც შეძლებენ ამ რეგიონების მოსახლეობის საინფორმაციო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

- დეზინფორმაციული ნარატივების გამოვლენისა და ადგილობრივ მოსახლეობამდე მიტანის მიზნით მნიშვნელოვანია ფაქტ-ჩეკერების საქმიანობის გავრცელება ყველა რეგიონში.